F75№958

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 3 აპრილი, 1946 წ. № 68 (7541). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს გაზეთში:

საგაზაფხულო ხვნა-თესვის პირველი დღეები. მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ნავთის მუშაკთა უახლოესი ამოცანები (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. კოხრეიძის შეხვედრა ამომრჩევლებთან (მე-2 გვერდი).
ფართოდ გავაჩაღოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ორი რესპუბლიკის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება: ნატანებელ კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე. ფოკრშალრიარელთა მიღწევები (მე-3 გვერდი).
ა. დიაკოვი—ინდოეთი და მისი ხალხები (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები: დეპეშები (მე-4 გვერდი).

# საგაზაფხულო ხვნა-თესვის პირველი დღეები

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა სოფლის მეურნეობის წინაშე დიდ ამოცანებს სახავს. ამ ამოცანათა გადაჭრისათვის ბრძოლა უკვე დაიწყო. რამდენად კარგად ჩავატარებთ საგაზაფხულო ხვნა-თესვას, იმდენად მეტ წვლილს შევიტანთ დიად სამუშაოთა სტალინური პროგრამის განხორციელებაში.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა უკვე დაიწყო. დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოფლად ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეთა შრომითი აღმავლობა ყოველდღიურად იზრდება. სწორედ ამიტომ წელს ხვნა-თესვა ჩვენს რესპუბლიკაში უფრო სწრაფად და უფრო მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მიმდინარეობს. პირველი აპრილისათვის დათესილი იყო 36.819 ჰექტარი, 16.305 ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან ამავე რიცხვისათვის. თესვის ტემპები ყოველდღიურად ძლიერდება. ასე, მაგალითად, მარტის მეოთხე ხუთდღიურში დათესილი იყო 4.605 ჰექტარი, მეხუთე ხუთდღიურში—10.320 ჰექტარი, ხოლო მეექვსე ხუთდღიურში დაითესა—10.849 ჰექტარი. სწრაფად სთესენ კაჭრეთის, სიღნაღის, წითელწყაროსა და თბილისის რაიონების კოლმეურნეობები.

საკოლმეურნეო სოფელს წელს ყველა შესაძლებლობა აქვს საუკეთესოდ ჩაატაროს თესვა იმიტომ, რომ მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში იგი უფრო მეტ ტრაქტორს, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანასა და საშუქს იღებს. გარდა ამისა, სოფელს დიდძალი მუშახელი შეემატა წითელი არმიის რიგებიდან დემობილიზებული მეომრების სახით. მაშასადამე, პირობები გაცილებით უკეთესია. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული სწორად გავანაწილოთ ძალები, უნარიანად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, შევასრულოთ დავალებანი.

თესვის პირველმა დღეებმა გამოამჟღავნეს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. თუ ისინი სასწრაფოდ არ გამოვასწორეთ, ბევრ რამეს დავკარგავთ.

რა ნაკლოვანებებია ეს?

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის ამაღლებისათვის სათესლე მასალას, მაგრამ ზოგან აქედან საჭირო დასკვნას არ აკეთებენ. ხაშურის რაიონის 21 იანვრის სახელობის კოლმეურნეობაში კარტოფილის თესლს არ გაუფრთხილდნენ, უვარგის საწყობში შეინახეს და გააფუჭეს. ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშენის ბერიას, არაშენდის ვოროშილოვის და ახმეტის მარქსის სახელობის კოლმეურნეობებში სათესლე მასალას ახლა, მინდვრად გაცხარებული მუშაობის დროს, დაეძებენ. ასეთი ფაქტები სხვა რაიონებშიც გვხვდება. ცხადია, რომ ეს, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, თესვის გაჭიანურებას გამოიწვევს.

მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლების საფუძველია სწორი თესლბრუნვა, ხოლო ამ ღონისძიების განხორციელება შეუძლებელია ბალახების თესვის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ ბალახმინდვრიანი თესლბრუნვის მნიშვნელობას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ბევრგან ბალახების თესლი აქამდე არ მოუმარაგებიათ. ეს ჰქმნის ბალახების თესვის გეგმის ჩაშლის საფრთხეს. აუცილებელია სასწრაფო ზომები მივიღოთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ინვენტარი ყველგან როდია მოყვანილი სრულ წესრიგში. საგარეჯოს რაიონში ხშირია ტრაქტორების მოცდენა მინდვრად. ასეა ახმეტის მტს-შიც. ცხაკაიას რაიონის სოფელ თეკლათის სასოფლო საბჭოში არ მუშაობს საკოლმეურნეო სამჭედლო და ინვენტარის უბრალო რემონტისათვის კოლმეურნეებს 4-5 კილომეტრზე უხდებათ სიარული.

როგორც წესი, მუშა საქონელი მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე სამი კვირით ადრე გაძლიერებულ კვებაზე უნდა ყოფილიყო გადაყვანილი. ეს მითითება ზოგან ახლაც შეუსრულებელია. ხაშურის რაიონის სოფელ აძვისის კოლმეურნეობაში მუშა პირუტყვი დასუსტებულია, სამტრედიის რაიონის სოფელ ზემო ნოლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში მუშა პირუტყვისათვის საკმაო რაოდენობით არა აქვთ ჩალა და კონცენტრირებული საკვები.

ხვნა-თესვის ტემპებთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაოთა ხარისხს. ამას ზოგან არ ითვალისწინებენ. კასპის რაიონის სოფელ ნიჩბისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, მაგალითად, საჭარხლე ნაკვეთი ზერელედ მოხნეს. როგორც ჩანს, აქ სუსტია კონტროლი ხვნის ხარისხისადმი.

რა არის საჭირო ხვნა-თესვის წარმატებით ჩასატარებლად?

უპირველეს ყოვლისა, სასწრაფოდ გამოვასწოროთ თესვის მასობრივად გაჩაღებამდე შემჩნეული ნაკლოვანებანი, უზრუნველვყოთ მინდვრად ტრაქტორების მაღალნაყოფიერი მუშაობა, ვთესოთ სწრაფად და კარგი ხარისხის თესლი, მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოვიყენოთ მუშა საქონელი.

აუცილებელია მთლიანად შევავსოთ საკოლმეურნეო ბრიგადები და რგოლები, სწრაფად დავამთავროთ ყველა კოლმეურნეობაში 1946 წლის სამეურნეო გეგმის შედგენა. მოსავლიანობის დაწესებული გეგმა უნდა გავაცნოთ ყველა ბრიგადასა და რგოლს.

საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილებაში სოფლის მეურნეობის განვითარების 1946 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ მუშაობის კონკრეტული პროგრამა დაგვისახეს. სოფლად ახლა არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე ბოლშევიკური ბრძოლა ამ პროგრამის სახელოვნად განხორციელებისათვის.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის გეგმა წარმატებით უნდა შეასრულოს არა მარტო მთლიანად რაიონმა, არამედ თვითეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ. ეს არის სოფლის მეურნეობის მუშაკთა ღირსების საქმე.

ჩვენი კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, აღფრთოვანებულნი დიდი **სტალინის** ისტორიული სიტყვით, უეჭველია სანიმუშოდ ჩაატარებენ საგაზაფხულო ხვნა-თესვას, მკვიდრ საფუძველს ჩაუყრიან მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის უხვ მოსავალს.

## ამხ. ნ. ა. ვოზნესენსკის მოხსენებისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის გამოცემა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ვოზნესენსკის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ბროშურა გამოვიდა 500 ათას ცალად.

ასეთივე ტირაჟით გამოიცა „კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ", რომელიც მიიღო სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ. (საკდესი).

## ოქროს და ვერცხლის მედლები სუვოროვის სასწავლებელთა ფრიადოსნებისათვის

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს კადრების მთავარმა სამმართველომ მთელი რიგი ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა „სუვოროვის სასწავლებელთა მოწაფეების შინაგანაწესისა და ყოფაქცევის წესებში".

სუვოროველებს, რომლებიც სიმწიფის ატესტატის გამოცდებს ფრიადზე ჩააბარებენ, დააჯილდოებენ ოქროს და ვერცხლის მედლებით. იმ სუვოროველთა გვარებს, რომლებიც სწავლას წარჩინებით დაამთავრებენ, შეიტანენ საპატიო დაფაზე, რომელიც დაკიდებული იქნება სასწავლებლის სააქტო დარბაზში. გარდა ამისა, სწავლის ფრიადოსნები დაჯილდოებულ იქნებიან ძვირფასი საჩუქრებითა და ქების სიგელებით. (საკდესი).

## ბარნაულ-სტალინსკის რკინიგზის ხაზის მშენებლობა

**ბარნაული,** (საკდესი). განახლდა მუშაობა ომის გამო შეწყვეტილი ბარნაულ-სტალინსკის ახალი რკინიგზის ხაზის გასაყვანად. ახალი მაგისტრალი, რომლის სიგრძე 200 კილომეტრს უდრის, უმოკლეს გზას გაუხსნის კუზნეცკის ქვანახშირსა და ლითონს. უკვე დაგებულია ლიანდაგი 35 კილომეტრ მანძილზე. 60 კილომეტრზე დამთავრებულია მიწის სამუშაოები.

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ამხ. რ. ს. ზემლიაჩკა-სამოილოვას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის წარმატებითი სახელმწიფოებრივი და პარტიული მოღვაწეობისათვის, დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნას ამხ. როზალია სამუელის-ასული **ზემლიაჩკა-სამოილოვა ლენინის ორდენით.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 1 აპრილი.

## ბრძანებულება
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### ამხ. მ. თ. ვლადიმირსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის წარმატებითი სახელმწიფოებრივი და პარტიული მოღვაწეობისათვის, დაბადებიდან 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, დაჯილდოებულ იქნას ამხ. მიხეილ თევდორეს-ძე **ვლადიმირსკი ლენინის ორდენით.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 1 აპრილი.

# ნავთის მუშაკთა უახლოესი ამოცანები

### საუბარი სსრ კავშირის სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის მინისტრ ამხ. ნ. ბაიბაკოვთან

ნავთის მრეწველობის, როგორც მძიმე ინდუსტრიის ერთ-ერთი გადამწყვეტი დარგის განვითარებას ახალ ხუთწლიან გეგმაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. ნავთის მუშაკთა წინაშე დასახულია ამოცანა „უზრუნველყოფილ იქნას ნავთის მრეწველობის სწრაფი აღდგენა და განვითარება, მიღწეულ იქნას ნავთის მოპოვებისა და გადამუშავების ომამდელი დონე 1949 წელს და ეს დონე გადაჭარბებულ იქნას 1950 წელს". 35,4 მილიონი ტონა ნავთი უნდა მიიღოს ჩვენმა ქვეყანამ ახალი ხუთწლედის დამლევს.

ეს უახლოესი ამოცანა ნავთის მუშაკებისათვის პირველი ეტაპია სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში, რომელიც დიდმა სტალინმა დასახა თავის სიტყვაში ამომრჩეველთა წინაშე 1946 წლის 9 თებერვალს. სამი ხუთწლედის შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ ყოველწლიურად უნდა ამოიღოს 60 მილიონი ტონა ნავთი.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება, რათა მკვეთრად ავამაღლოთ ნავთის მოპოვების დონე. ხუთწლედი ითვალისწინებს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან სერიოზულად დაზარალებული გროზნოსა და კრასნოდარის ნავთის რაიონების აღდგენის სწრაფ ტემპებს. ნავთის მუშაკთა საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს ამ რაიონების ყოფილი სახელის უსწრაფესი აღდგენა. გროზნოსა და კრასნოდარის სარეწებმა 1950 წელს ნავთის მოპოვების ომამდელ დონეს უნდა მიაღწიონ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აზერბაიჯანს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს ნავთის რაიონს. ფართოდ უნდა გაჩაღდეს ძიება. მომცდარი ჭაბურღილების ამუშავება იმის საშუალებას მოგვცემს, რომ ამოვიღოთ ასეულ ათასობით ტონა შავი ოქრო. აზერბაიჯანის ნავთის მუშაკებმა უნდა ისწავლონ საზღვაო უბნების იოლი და მარტივი ათვისება. ზღვის ფსკერის წიაღში ნავთის უდიდესი სიმდიდრე მარხია. ჩვენ უკვე ასეულ ათასობით ტონა ნავთი მივიღეთ ზღვაში გათხრილი ჭაბურღილებიდან.

ხუთწლედში გათვალისწინებულია საბურღავ სამუშაოთა ფართო გაჩაღება, სარეწების მშენებლობის განვითარება, ნავთსადენთა, ნავთის გადამამუშავებელ საწარმოთა, ელექტროსადგურთა, მექანიკურ სახელოსნოთა მშენებლობა და, განსაკუთრებით, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

საექსპლოატაციო და საძიებო ბურღვით საერთო გათხრა 1950 წელს 1940 წელთან შედარებით ერთიორად და უფრო მეტად გადიდდება. ეს მანქანათმშენებელთაგან მოითხოვს საბურღავი მოწყობილობისა და ჭაბურღილთა საექსპლოატაციო მოწყობილობის გამოშვების მნიშვნელოვან გადიდებას.

პირველ სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე ნავთის მრეწველობა მთლიანად ხელახლა იქნა შეიარაღებული. ჩამორჩენილი დაკვრითი ბურღვა ბრუნვითი ბურღვით შეიცვალა, აშენდა დიდი, იმ დროისათვის ტექნიკურად სრულყოფილი ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები, შექმნილია ნავთის მანქანათმშენებლობის ძირითადი ბაზა. ნავთის მრეწველობის წინაშე დასახული ახალი ამოცანები კვლავ დაჟინებით მოითხოვენ ნავთის მრეწველობის მნიშვნელოვან ხელახალ შეიარაღებას.

ნავთის მუშაკები ანგარიშს უყენებენ მეტალურგებს, დიზელთა მშენებლებს, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ელექტრომრეწველობის მუშაკებს, რკინიგზელებს. ჩვენ მათგან მოველით მკვიდრსა და უფრო მეტი რაოდენობის მოწყობილობას, ჩვენ გვესაჭიროება საბურღავი მოტორები, ტრაქტორები, ფოლადის მილები.

ნავთის მრეწველობის წინაშე დასახული უდიდესი ამოცანების გადაჭრა წარმოუდგენელია, თუ ფართოდ არ განვითარდა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა. ამჟამად სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებებში სწარმოებს გამოკვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ ბურღვის სისწრაფე და მკვეთრად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება ნავთის მრეწველობის ამ შრომატევად დარგში. მუშავდება ნავთის გადამუშავების ჩვენთვის ახალი პროცესები. გამოყენებულია ექსპლოატაციის მეორადი მეთოდები. გამოგონებათა ფართოდ დანერგვა შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებას მოგვცემს.

ახალ ხუთწლედში ფართოდ გაიშლება საბინაო მშენებლობა ნავთის მუშაკებისათვის. საბინაო ფონდი ნავთის მრეწველობაში 1950 წელს 60 პროცენტით გადიდდება. გათვალისწინებულია კეთილმოწყობილი საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაგების, სკოლების, კლუბებისა და სხვა საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა.

საბჭოთა კავშირის ნავთის მუშაკებს, რომლებმაც წარმატებით დასძლიეს პირველ სტალინურ ხუთწლედთა ამოცანები და თავიანთი წვლილი შეიტანეს ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის განადგურების საქმეში, შეგნებული აქვთ თავიანთი უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე და ყველა ღონისძიებას იხმარებენ ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმის შესასრულებლად. (საკდესი).

## სიახლენი საშუალო სკოლის მუშაობაში

2 აპრილს რსფს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილის პროფესორ ა. გ. კალაშნიკოვის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელიც მიეძღვნა საშუალო სკოლის განმტკიცების საკითხს სახალხო განათლების ახალი ხუთწლიანი გეგმის ამოცანებთან დაკავშირებით.

მოხსენება გააკეთა დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსმა ამხ. ნ. მ. პარფენოვამ, რომელმაც განაცხადა, რომ დასახულია სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში მთელი რიგი ცვლილებების შეტანა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეების მიერ ცოდნის უფრო მტკიცედ შეთვისება, ამაღლებულ იქნას მათი კულტურული დონე. განზრახულია მთელი რიგი ახალი საგნების — ფსიქოლოგიის, ლოგიკის, ხოლო ქალთა სკოლებში პედაგოგიკის სწავლების შემოღება. იმ სკოლების ყველა კლასში, სადაც ამისათვის შესაფერი პირობებია, განზრახულია მოეწყოს მეცადინეობა შრომაში. დიდდება საათები უცხო ენების, ისტორიის, ფიზიკის, ხატვის, მუსიკის შესასწავლად.

ახალ ხუთწლედში უნდა განმტკიცდეს სკოლების მატერიალური ბაზა, შეიქმნას სასწავლო კაბინეტები, ფუნდამენტალური ბიბლიოთეკები, გაუქმდეს მეცადინეობის მრავალცვლიანობა. დიდი მუშაობა უნდა იქნას გაწეული ახალი სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის დარგში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასწავლებელთა კადრების მომზადებასა და გადამზადებას: განზრახულია უმაღლეს სასწავლებლებთან მოეწყოს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, გაიმართოს ცალკეული დისციპლინების მასწავლებელთა ყრილობები და სხვა.

რსფს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო ჰქმნის კომისიებს საშუალო სკოლის განმტკიცების საკითხის დეტალური დამუშავებისათვის. (საკდესი).

## ბრძანებულება
### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლის" მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წ. 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ცხრა შვილი „სახელოვანი დედის" I ხარისხის ორდენით

1. **კახნიაშვილი** ოლღა გიორგის-ასული — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ კურტის კოლმეურნეობის წევრი;
2. **კოსიანი** აკულია გუკასის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ კულიკამის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **კურტოღლიანი** სოფიო ავეტისის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ არაგვის კოლმეურნეობის წევრი.

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს რვა შვილი „სახელოვანი დედის" II ხარისხის ორდენით

1. **ბერიძე** თეკლე ევგენის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ კოტელიას ჩოდრიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **ბარბარიანი** არცვიკ ეგიაზარის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ვაჩიანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ბარსეღიანი** ბერსაბ სარქისის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ დიდი სამსარის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ბახსოლიანი** ოლღა ილიკოს-ასული — თელავის რაიონის სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ბლუიშვილი** თამარ მიხეილის-ასული — თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობის წევრი;
6. **კრტიანი** თაკუშ მარტიროსის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ალასტნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **კუკუჯანაშვილი** მარიამ პეტრეს-ასული—თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობის წევრი;
8. **მაკარიანი** რიფსიმე ოჰანესის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ალასტნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **მარქარიანი** თალიტა ქეროფის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ალასტნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **მარქარიანი** რანუშ არუთინის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ხაიდოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **მიქელაძე** დარია იობის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ კილდის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ნადირაძე** თამარ სიმონის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ კილდის კოლმეურნეობის წევრი;
13. **სუმბაძე** ნატალია ივანეს-ასული—თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **შახბეკიანი** შუშანა მიკირტიჩის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ ხაიდოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს შვიდი შვილი „სახელოვანი დედის" III ხარისხის ორდენით

1. **გრიშკაშვილი** ელენე ქიტესას-ასული — თელავის რაიონის სოფელ შალაურის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გასპარიანი** აღავნიკ მარტიროსის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაკის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ვანციანი** აზნივ ოჰანესის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაკის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ვახტანგიშვილი** მარგარიტა ბაგრატის-ასული—დიასახლისი, სოფელი ქვემო ხოდაშენი, თელავის რაიონი;
5. **ზუროშვილი** მელუცა შაქროს-ასული — თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობის წევრი;
6. **მარკოზაშვილი** სოფიო იოსების-ასული — დიასახლისი, ქალაქი თელავი, თელავის რაიონი;
7. **მეგუთნიშვილი** მარიამ ალექსის-ასული—თელავის რაიონის სოფელ წინანდლის კოლმეურნეობის წევრი;
8. **პაპუნაშვილი** არუსიაკ იოსების-ასული — თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობის წევრი;
9. **პეტროსიანი** შოღოკატ გალუსტის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ ზაკის კოლმეურნეობის წევრი;
10. **რსტაკიანი** ერიქნაზ გიორგის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ დიდი სამსარის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ჯოხარიძე** თამარ გიორგის-ასული—თელავის რაიონის სოფელ შალაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ექვსი შვილი „დედობის მედლის" I ხარისხის მედლით

1. **გიორგანაშვილი** მარიამ პეტრეს-ასული—თელავის რაიონის სოფელ ქვემო ხოდაშნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
2. **გომციანი** აიკანუშ ხაჩატურის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ მერენიას ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ეროიანი** ფეფრონია გრიგოლის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ალასტნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
4. **დედაბრიშვილი** თამარ ადამის-ასული — თელავის რაიონის სოფელ შალაურის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ზაალიშვილი** სოფიო აბრამის-ასული — თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობის წევრი;
6. **ზაზაძე** ევა კონსტანტინეს-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ ხოსპიას ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **სეხნიაშვილი** მართა გიორგის-ასული — თელავის რაიონის სოფელ შალაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
8. **სვიმონიშვილი** თამარ ზაქარიას-ასული — თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობის წევრი;
9. **სუხიტაშვილი** მალუცა სანდროს-ასული—თელავის რაიონის სოფელ შალაურის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
10. **ნათენაძე** სათუთ სერგის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშნის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ოღანესიანი** სოგომე სიმონის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ მერენიას ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
12. **ნათენაძე** ევლინგი თედორეს-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშნის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ქვრიტიძე** ნინო ნეზოს-ასული—თელავის რაიონის სოფელ ლალისყურის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ქიკაძე** ბაბუცა ლუარსაბის-ასული—თელავის რაიონის სოფელ ნასომხრის კოლმეურნეობის წევრი;
15. **წიგნაძე** ეკატერინე ბესარიონის-ასული—თელავის რაიონის სოფელ შალაურის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

### დედები, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ხუთი შვილი „დედობის მედლის" II ხარისხის მედლით

1. **აბდულაშვილი** ოლღა მელქოს-ასული — დიასახლისი, სოფელი წინანდალი, თელავის რაიონი;
2. **აბგარიანი** მარიამ ბარსამის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ პატარა სამსარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
3. **ასლანიანი** მარიამ ამბარცუმის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ ბავრის კოლმეურნეობის წევრი;
4. **ასლანიანი** მარიამ გრიგოლის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ მერენიას ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
5. **ბაბაჯანიანი** მარიამ არუთინის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ მურჯახეთის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
6. **გაბრიელიანი** კინო არშაკის-ასული—ახალქალაქის რაიონის სოფელ პატარა სამსარის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
7. **გუშჩიანი** ვარდიშახ მესროფის-ასული — ახალქალაქის რაიონის სოფელ მერენიას ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.
8. **ზულეი** უსუფ ყიზი—თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
9. **იობაშვილი** ბარბარე მიხეილის-ასული — თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობის წევრი;
10. **მწყერაძე** ვერა ბასილას-ასული—თელავის რაიონის სოფელ ბუშეტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
11. **ნადირაშვილი** ნინო ალექსის-ასული — თელავის რაიონის სოფელ კისისხევის კოლმეურნეობის წევრი;
12. **რაზმაძე** თამარ ლევანის-ასული—თელავის რაიონის სოფელ ბუშეტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
13. **ურგიათ** აბეიდ ყიზი—თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის კოლმეურნეობის წევრი;
14. **ყიზეითარ** ასკარ ყიზი—თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი;
15. **ჯავახიშვილი** ნინო სოსიას-ასული—თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბნის კოლმეურნეობის წევრი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1946 წ. 9 თებერვალი. ქ. თბილისი.

## ხე-ტყის ხმობა მაღალი სიხშირის დენით

**ლენინგრადი,** 31 მარტი. (საკდესი). საწარმომ „პრომელექტროპეჩმა" დაიწყო მაღალი სიხშირის დანადგარის მონტაჟი ხე-ტყის სახმობად.

ძელებს აწყობენ სპეციალურ ურიკაზე ლითონის ფირფიტების მწკრივებს შუა. ფირფიტებში გაჰყავთ მაღალი ძაბვისა და მაღალი სიხშირის ელექტროდენი. დღე-ღამის განმავლობაში დანადგარი ახმობს 10 კუბურ მეტრ მერქანს. ამ რაოდენობის ხე-ტყის დაჩქარებული გახმობა ჩვეულებრივი საშუალებით თვენახევრამდე დროს მოითხოვს. მემონტაჟეთა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დანადგარი საექსპლოატაციოდ გადასცეს 1 მაისისათვის.

ვოროვსკის სახელობის მაკარონის ფაბრიკაში დაპროექტებულია მაღალი სიხშირის დანადგარი მაკარონისა და ვერმიშელის სახმობად. დღემდე ხმობა სწარმოებს ცხელი ჰაერით; სახმობ კარადებს უკავიათ სამსართულიანი კორპუსი. დაპროექტებული დანადგარი შესაძლებელს გახდის პროდუქციის გახმობა სწარმოებდეს უშუალოდ საწარმოო ნაკადში. ეს მკვეთრად გააუმჯობესებს შრომის პირობებს და საშუალებას მოგვცემს გავაუქმოთ ცხელი ჰაერით სახმობი სამქრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის შ. კოხრეიძის შეხვედრა ამომრჩევლებთან

## ახალი შრომითი აღმავლობის მძლავრი სტიმული

**მოსკოვიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიიდან დაბრუნდა თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის საამაყო ადამიანი, სოციალისტური შრომის გმირი, ინსტრუქტორ-მემანქანე, დეპუტატი შალვა თევდორეს-ძე კოხრეიძე. გაიგეს თუ არა თავიანთი დეპუტატის დაბრუნება, საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდებმა სთხოვეს მას ემბნა მათთვის სესიის მუშაობის შესახებ.**

**დეპუტატ შ. კოხრეიძესთან შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება, რომელიც მოაწყო საორთქლმავლო დეპოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ, ჩატარდა ახალი ხუთწლედის ამოცანათა გადაჭრისათვის დეპოს ახალგაზრდობის მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით.**

**ვაქვეყნებთ კრების ანგარიშს.**

* * *

კლუბის დარბაზში ხალხი აღარ ეტეოდა. სცენაზე მაგიდასთან მივიდა დეპოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. გელაშვილი, პატარა ზარი გააწკარუნა. ორკესტრმა გუგუნი შესწყვიტა და დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

**გ. გელაშვილი:** — ამხანაგებო, გუშინ დაბრუნდა ჩვენი დეპუტატი, ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ადამიანი შალვა კოხრეიძე. თქვენ იცით, რომ ის მონაწილეობას იღებდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობაში. ჩვენ ვთხოვეთ მას ემბნა სესიის მუშაობის შესახებ. მოვუსმინოთ ჩვენს დეპუტატს!

**დეპუტატი შ. კოხრეიძე:** — ძნელია ყოველივე იმის გადმოცემა, რაც განვიცადე. ჩავედით მოსკოვს 8 მარტს ღამით. ყინვა 18 გრადუსს აღწევდა. წვრილად თოვდა. მეორე დღეს დილიდანვე დეპუტატების ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტეთ გვენახა ლენინის მავზოლეუმი. დიადი, დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა. ვნახეთ საყვარელი ილიჩის სახე. თითქოს სძინავსო, მშვიდად გამოიყურება ვლადიმერ ილიასძე.

მინდა გადმოგცეთ ჩემი განცდები სესიის პირველი სხდომისას. სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორმე ახლო მენახა ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. ვიფიქრე, ყველაზე ადრე მივალ და წინ დავიკავებ ადგილს-მეთქი, მაგრამ დარბაზში ადგილები წინასწარ ყოფილა მონიშნული.

დეპუტატებმა ადგილები დაიკავეს. სადაცაა უნდა დაიწყოს სხდომა. ველავ. აი გამოჩნდნენ ამხანაგები — კალინინი, ჟდანოვი, ბერია, მალენკოვი...

გამოჩნდა საყვარელი ბელადი — დიდი სტალინი.

მშობლიური, ძვირფასი, მახლობელი ადამიანი. თითქოს ბევრჯერ მენახოს იგი. დიდხანს ჰქუხდა ტაში და გაისმოდა აღფრთოვანებული შეძახილები.

შემდეგ ამხ. კოხრეიძე მსმენელებს უამბობს სესიის მუშაობის შესახებ, იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც სესიამ საბჭოთა ხალხს დაუსახა. ის ამბობს:

— მინდა შევჩერდე ჩვენი, ე. ი. რკინიგზელების მუშაობის საკითხებზე. კანონი მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესახებ რკინიგზელებს ბევრ რაიმეს გვავალებს. რკინიგზელებზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მეოთხე სტალინური ხუთწლედის შესრულების საქმე. რკინიგზის ტრანსპორტმა გამართულად უნდა იმუშაოს, შესძლოს სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვის გეგმების შესრულება, და ამით ხელი შეუწყოს ახალ მშენებლობათა დიადი პროგრამის განხორციელებას. ჩვენ, დეპოელებს ეს ბევრ რამეს გვავალებს. საჭიროა დავაჩქაროთ სარემონტოდ მოსულ ორთქლმავალთა დაბრუნება ხაზებზე, გავაუმჯობესოთ რემონტის ხარისხი, ვიბრძოლოთ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. მემანქანეებმა უნდა გავაუმჯობესოთ ორთქლმავალთა ექსპლოატაცია, მივაღწიოთ გარბენის მანძილთა ზრდას. ჩვენთან არ არის დიდი და პატარა, მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო საქმე. ყველანი ვმონაწილეობთ დიადი სტალინური გეგმის შესრულებაში. თუ დღეს ზეინკალმა კარგად გაქლიბა ქანჩიკი, ამწყობმა კარგად მოარგო ის ორთქლმავლის რომელიმე ნაწილს, მაშასადამე, ზეინკალმაც და ამწყობმაც პირნათლად შეასრულეს მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანა.

საერთო საქმისათვის ყველა რკინიგზელის თავდადებულ მუშაობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაშ, დავირაზმოთ ყველანი, მაღალხარისხოვნად შევასრულოთ ჩვენთვის დაკისრებული საქმე! ვიბრძოლოთ მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის!

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორს დიდ სტალინს! (მქუხარე ტაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).

**თავმჯდომარე:** სიტყვა ეძლევა ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელს დათა ჭავჭანიძეს!

**დ. ჭავჭანიძე:**—ბევრი საგულისხმო რამ გვიამბო აქ ჩვენმა დეპუტატმა. საჭიროა უფროსი ამხანაგის მოწოდებას საქმით ვუპასუხოთ. ახლა გაჩაღებულია საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. ჩვენი ბრიგადა ჩაება ამ შეჯიბრებაში. ვფიქრობთ ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს მივაღწიოთ. ბრიგადის წევრები ნ. ყუროშიძე, დ. სურამელაშვილი, ო. თამაზაშვილი საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს იძლევიან „არანაკლებ 200 პროცენტისა"—ასეთი ლოზუნგით მუშაობს ახლა ჩვენი ბრიგადის თვითეული წევრი. მოვუწოდებ დეპოელებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს. ვიმუშაოთ დღეს უკეთესად, ვიდრე გუშინ ვმუშაობდით და ხვალ კიდევ უკეთესად, ვიდრე დღეს ვმუშაობთ!

კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე სტახანოველმა ზეინკალმა ნ. ნიაზაშვილმა, ხარატმა ს. აზატოვმა, კომკავშირელმა ინჟინერმა დ. კვარანჩხილაძემ, ბუხჰალტერმა შ. ნოზაძემ, დეპოს უფროსის მოადგილემ დ. წერეთელმა და სხვ.

დეპუტატთან შეხვედრა ახალი შრომითი აღმავლობის მძლავრ სტიმულად გადაიქცა.

## კატა-კურგანის წყალსაცავის მშენებლობაზე

**სამარყანდი,** 30 მარტი. (საქდესი). ჩაღდება კატა-კურგანის წყალსაცავის შემდგომი მშენებლობა, რაც გათვალისწინებულია ახალი ხუთწლიანი გეგმით.

ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში დამთავრდება კატა-კურგანის წყალსაცავის აგება და მისი ტევადობა შეადგენს 638 მილიონ კუბურ მეტრს. წელს შესრულდება სარემონტო-აღსადგენი სამუშაოები, რაც გამოიწვია ამ მშენებლობის კონსერვაციამ ომიანობის წლებში. უნდა შესრულდეს 4 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაო, გაყვანილ იქნას 10 კილომეტრი რკინიგზა და 11 კილომეტრი ყამირი გზა, ვაკეთდეს 10 ხიდი, დამზადდეს 100 ათასამდე კუბური მეტრი ქვა და სხვა საშენებლო მასალა.

წყალსაცავის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სამარყანდისა და ბუხარის ოლქების ათასობით კოლმეურნე.

## საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

### მეთხუთმეტე ტური

საქართველოს მოჭადრაკეთა ტურნირში კონკურსს გარეშე მონაწილე სტუმრები მეთხუთმეტე ტურში შავებით თამაშობდნენ. გროსმაისტერი კერესი შეხვდა პეტროსიანს, ოსტატი ზაგორიანსკი ფალავანდიშვილს და ოსტატი მიკენასი სერედას. ლასკერის პაიკთა დებიუტის წინააღმდეგ სამივემ მწვავე გაგრძელება — გრიუნფელდის დაცვა აირჩია. დებიუტიდან გამოსვლისთანავე პეტროსიანისა და ფალავანდიშვილის პოზიცია სუსტი აღმოჩნდა, ხოლო სერედასი—ძლიერი. კერესი იგებს ხარისხს. პარტიის ბედი თითქოს უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ გროსმაისტერი აკეთებს სუსტ სვლას, რითაც საშუალებას აძლევს პეტროსიანს მიიღოს ერთგვარი კომპენსაცია გამსვლელი პაიკის სახით. კერესი თვითეულ სვლას აკეთებს ხანგრძლივი მოფიქრების შემდეგ. ერთხანს შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ იგი წააგებს პარტიას, მაგრამ მან დროულად დაუბრუნა მოწინააღმდეგეს ხარისხი და მოიგო გამსვლელი პაიკი. ამის შემდეგ ენდშპილში თითქოს კერესს უკეთესი მდგომარეობა შეექმნა, მაგრამ მდგომარეობის გამარტივების შედეგად პარტიის მოგება შეუძლებელი გახდა. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. სერედამ მოიგო ხარისხი და პარტიის მოგების გარკვეული შანსები მიიღო, მაგრამ მიტელშპილში სუსტად ითამაშა და წააგო. დამარცხდა აგრეთვე ფალავანდიშვილი ოსტატ ზაგორიანსკისთან.

შიშოვმა მოუგო აღამალიანს, მალაშხიამ ნერსესოვს, არუთინოვმა ქარსელაძეს და სოროკინმა გაჩეჩილაძეს. ცინცაძე-გიორგაძის და ბლაგიძე-ვეიზერის პარტიები გადაიდო. ებრალიძე-ფირცხალავას პარტია არ გათამაშებულა.

### გადადებული პარტიების დამთავრება

გუშინ, 2 აპრილს, მოხდა წინა ტურებიდან გადადებული პარტიების დამთავრება. ყურადღების ცენტრში იყო გროსმაისტერ კერესისა და ოსტატ ებრალიძის პარტია. ეს პარტია გადადებული იყო ეტლების ენდშპილში, სადაც ებრალიძეს ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ მან ვერ გამოიყენა ეს უპირატესობა და პარტია ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენ პარტიებში პეტროსიანმა მოუგო სერედას და ქარსელაძეს. აგამალიანი დამარცხდა სერედასთან. ბლაგიძემ მოუგო შიშოვს, ვეიზერს და ყაიმი გააკეთა სერედასთან. ცინცაძემ მოუგო ქარსელაძეს. გაჩეჩილაძემ წააგო ზაგორიანსკისთან და მოუგო გიორგაძეს. ფალავანდიშვილი გიორგაძე გაუთამაშებლივ შეთანხმდნენ ყაიმზე. ოსტატ ზაგორიანსკის მოუგო ნერსესოვმა.

თხუთმეტი ტურის შემდეგ წინ არიან: კერესი +14, მიკენასი +13½, ზაგორიანსკი +11, პეტროსიანი +10½, ებრალიძე და ბლაგიძე +9 (1 გადადებული), სოროკინი +8½, შიშოვი და ცინცაძე +8 (1 გადადებული), სერედა +7 (1 გადადებული).

დღეს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ. 4 აპრილს გათამაშდება მეთექვსმეტე ტური. გროსმაისტერი კერესი ეთამაშება არუთინოვს, ოსტატი მიკენასი—შიშოვს, ოსტატი ებრალიძე—ნერსესოვს, ოსტატი ზაგორიანსკი—ცინცაძეს.



სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა. ამწყობი საამქროს ზეინკლები ა. ჩომახიძე (მარცხნივ) და ვ. გოგინეიშვილი საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ყოველდღიურად 300-400 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

# ფართოდ გავაჩაღოთ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

## დაწინაურდნენ ახალი ადამიანები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ახალი საწარმოო წარმატებებით უპასუხებს.

საპირველმაისო შეჯიბრების დღეებში აქ დაწინაურდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც ამჟამად ორმაგად და სამმაგად ასრულებენ დღიურ დავალებებს.

მაღალნაყოფიერი შრომით სახელი გაითქვა ხარატმა ს. წეროძემ. მან 27 მარტს დღიური დავალება 360 პროცენტით შეასრულა, 28 მარტს—350 პროცენტით, ხოლო 29 მარტს—400 პროცენტით.

პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა კომკავშირელმა ხარატმა ა. მაზმიშვილმა. იგი გამომუშავების ნორმებს სისტემატურად 300-400 პროცენტით ასრულებს.

სტახანოველი ხარატები ს. სანაძე, ი. ხეჩუაშვილი, გ. ჯანველოვი და სხვები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. სახარატო საამქროს არ ჩამორჩება გარეცხვითი შეკეთების საამქრო, რომელმაც მარტში გეგმით გათვალისწინებული 50 ორთქლმავლის ნაცვლად გარეცხვითი რემონტიდან გამოუშვა 61 ორთქლმავალი. ყველას გაუსწრო პირველმა კომპლექსურმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი მ. ბარნაბიშვილი). ბრიგადის წევრები—ახალგაზრდა ზეინკლები ნ. ნიაზაშვილი, ე. საგაევი და ვ. კოვალიოვი გამომუშავების დღიურ ნორმებს 240-300 პროცენტით ასრულებენ. კვლავ პირველობას ინარჩუნებს მესამე კომპლექსური ბრიგადა (ხელმძღვანელი დ. ჭავჭანიძე). ახალგაზრდა ზეინკლები ნ. ყუროშიძე, დ. სურამელაშვილი, ო. თამაზაშვილი, ქ. აზატოვი და სხვები მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია აწევითი და საშუალო რემონტის საამქროს კოლექტივმა (უფროსი შ. ხიზანიშვილი). მარტში აწევითი შეკეთებიდან მან გეგმის გადამეტებით გამოუშვა ერთი ორთქლმავალი. საამქროში მოწინავენი არიან ზეინკლები ვ. ნიკოლეიშვილი, პ. მაზმიშვილი, ბ. ხმიადაშვილი; მექვაბეები ი. დემეტრაშვილი და ა. ქვრივიშვილი.

## 600 კილოგრამი აბრეშუმის ნართი გეგმის გადამეტებით

**მახარაძე („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან).** მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის კოლექტივმა (დირექტორი შ. ვასაძე) პირველი კვარტალის საწარმოო დავალება შვიდი დღით ადრე შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 600 კილოგრამი აბრეშუმის ნართი.

ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნისა და დიმიტროვის სახელობის ორდენოსანი ქარხნის კოლექტივთა მოწოდებას საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

მახარაძელი მეაბრეშუმეები ჩაებნენ შეჯიბრებაში. მათ იკისრეს: 4 თვის საწარმოო გეგმა შეასრულონ 109 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 5 პროცენტით, დაზოგონ ნედლეული 1.500 კილოგრამი პარკისა და სათბობი 120 ტონა ნავთის რაოდენობით.

ლ. ლოლაძე

## ხაშურელ რკინიგზელთა მიღწევები

ხაშურელი რკინიგზელები თავდადებით იბრძვიან საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატების მოპოვებისათვის.

საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები ვ. გოგნიძე, გ. სტეფნაძე, გ. ცერცვაძე და გ. ხაჩიძე გადაჭარბებით ასრულებენ ორთქლმავლის გარბენის გეგმას. მათ საათში ერთნახევარი კილომეტრით გაადიდეს ტექნიკური სიჩქარე, ზოგავენ საწვავ მასალას.

დეპოს კოლექტივმა ვალდებულება აიღო პირველი მაისისათვის გეგმის გადამეტებით საშუალო შეკეთებიდან გამოუშვას ორი ორთქლმავალი და რემონტისათვის ორთქლმავალთა მოცდენა შეამციროს 2 საათით. მეორთქლმავლეები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ბათუმის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივთან.

გეგმის გადამეტებით ორ ვაგონს უშვებს საშუალო შეკეთებიდან სავაგონო დეპოს ახსნითი შეკეთების საამქრო. ნაყოფიერად მუშაობს ხარატი ლ. მოწონელიძე. მან იკისრა გეგმის გადამეტებით წლიური შეკეთებიდან ერთი ვაგონის გამოშვება. ხარატი ც. კიკნაძე სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ყოველდღიურ გეგმას ასრულებს 400 პროცენტით, მჭედელი გ. კალმახელიძე—600-700 პროცენტით. ზეინკლები: ქ. ქურდაძე და ს. ხარაზიშვილი გეგმას ხშირად 1.000 პროცენტით ასრულებენ.

საელმავლო დეპოს კოლექტივის ვალდებულებაა—ორჯერ შეამციროს სარემონტო ელმავალთა პროცენტი. დეპოს მჭედელმა გ. რევაზიშვილმა, ხარატებმა ნ. ნოზაძემ და გ. ჯალიაშვილმა, ზეინკლებმა დ. იაკობიძემ, ი. ლომიძემ და ს. პაპუაშვილმა 30-40 პროცენტით გაადიდეს შრომის ნაყოფიერება.

ხაშურის რკინიგზის კვანძის კოლექტივი სამაისოდ ახალ შრომით საჩუქარს უმზადებს დედა-სამშობლოს.

ვ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## ვის როგორი წარმატება აქვს

### (სტახანოველთა შეჯიბრება პროფესიების მიხედვით)

სტახანოველთა სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით წარმატებით გრძელდება. ამჟამად სტახანოველები ჩაბმულნი არიან საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავდადებით იბრძვიან პროფესიის მიხედვით საქალაქო პირველობის მოპოვებისათვის.

**26 კომისრის სახელობის** მანქანათმშენებელ ქარხანაში მჭედლებს შორის პირველობას ინარჩუნებს მჭედელი ვ. კორძაძე. იგი საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს ყოველდღე 700-800 პროცენტით ასრულებს. ზეინკლებს შორის შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ი. ხარგალაძე და ა. ეგოროვი, რომლებიც დავალებებს ყოველდღიურად 700-750 პროცენტით ანაღდებენ.

**კიროვის სახელობის** დაზგათმშენებელ ქარხანაში ყველაზე უკეთესად მუშაობს მჭედელი მ. ბიკოვი, რომელიც უკანასკნელ დღეებში დავალებას 800-850 პროცენტით ასრულებს; 30 მარტს მან დღიური გეგმა შეასრულა 1.087 პროცენტით. ზეინკლებს შორის დაწინაურდნენ ა. ბენდიაშვილი და ვ. სვანი. ისინი ყოველდღიურად 6-6 ნორმას იძლევიან.

**ქარხანა „დაზგაში"** მომუშავე სტახანოველთა შორის პირველობას ინარჩუნებს ზეინკალი ს. გეჯაძე. იგი გამომუშავების დღიურ ნორმას სისტემატურად 450 პროცენტით ასრულებს. დაწინაურდნენ აგრეთვე ზეინკლები ა. ხვედელიანი (გეგმას ასრულებს 450 პროცენტით) და მ. აბუაშვილი (გეგმას ასრულებს 350 პროცენტით).

**თბილისის საორთქლმავლო დეპოში** შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას სისტემატურად 300-400 პროცენტით ასრულებს ხარატი ს. წეროძე. ზეინკლებს შორის სახელი გაითქვეს ი. ბერიაშვილმა, პ. მაზმიშვილმა, ბ. ხმიადაშვილმა და ვ. ნიკოლეიშვილმა.

# პარტიული ცხოვრება

## მაღაროს კომუნისტები მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში

### (ჭიათურა „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის თვითღირებულება საწარმოს მუშაობის ძირითადი მაჩვენებლებია. არც ერთი ამ მაჩვენებელთაგან ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში საქებელი არ იყო. შრომის ნაყოფიერება მცირდებოდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება იზრდებოდა. პარტიული ორგანიზაცია არ შეიძლებოდა შერიგებოდა ამ მდგომარეობას. გადაწყდა ღია პარტიულ კრებაზე განეხილათ საკითხი.

კრება საფუძვლიანად მომზადდა. შესწავლილ იქნა მუშაობის ყოველი უბანი. კრებაზე მოისმინეს მაღაროს დირექტორის ამხ. დ. ერგემლიძისა და ეკონომისტ ამხ. შ. ბარათაშვილის მოხსენებანი. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა მაღაროელმა. მათ დაწვრილებით ილაპარაკეს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების ღონისძიებებზე.

პარტიულმა კრებამ დასახა ღონისძიებანი. დაიწყო ბრძოლა მისი განხორციელებისათვის.

პირველი უბნის № 42 სანგრევში დაიდგა ტუმბო. მეორე უბანში მოეწყო ორი ჯალამბარი. გაიწმინდა საელმავლო გზა და საკონტაქტო ხაზს გაუკეთდა რემონტი. სავაგონო პარკი შეივსო ადგილობრივ სახელოსნოში შეკეთებული ვაგონებით. ამ ღონისძიებათა გატარებით ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. ამის შედეგად მაღარომ 1945 წელს 470 ათასამდე მანეთი დაზოგა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 9.696 ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი. მაღაროს კოლექტივი წარმატებით მუშაობს მიმდინარე წელსაც. პირველი კვარტალის გეგმა მან 25 მარტისათვის შეასრულა.

ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდია კომუნისტების როლი. ისინი დისციპლინისა და მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან. მაღაროს მესამე უბანს კომუნისტი ამხ. შ. გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობს. ეს უბანი საუკეთესოა მთელ ჭიათურაში. უბნის კოლექტივმა პირველი კვარტალის დავალება 25 მარტისათვის 135,7 პროცენტით შეასრულა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 2.680 ტონა მარგანეცი. უბანში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გრაფიკის დაცვას, შრომის ორგანიზაციას, სანგრევების მომზადებას, სანგრევებამდე გზისა და სინათლის მიყვანას, დანაკარგების შემცირებას. ახლახან უბანში მომზადდა ოთხი ახალი სანგრევი, რითაც გადიდდა მარგანეცის გამოღება. უბანში თავდადებული შრომით გამოირჩევიან კომუნისტები ა. გაფრინდაშვილი, რ. გურული, ს. გაბრიჭიძე, დ. ჭილაძე. ისინი გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ.

პირველ უბანში გაძნელებული იყო ვაგონების მიმოქცევა, რაც აფერხებდა მარგანეცის გამოღებას. კომუნისტ მ. კენჭოშვილის თაოსნობით № 42 სანგრევში ჯალამბარი დაიდგა. ამ ღონისძიებამ 30 პროცენტით გაზარდა ვაგონების ბრუნვა. უბანში საგრძნობლად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გადიდდა მარგანეცის გამოღება.

გამაუხვებელი ფაბრიკა, რომელსაც კომუნისტი ინჟინერი, ორდენოსანი ალ. მიდებაძე ხელმძღვანელობს, ვერ ასრულებდა მაღალხარისხოვანი პეროქსიდების დამზადების გეგმას. ასე არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ამხ. მიდებაძემ დაზგებში გაუმჯობესება შეიტანა. ამის შედეგად ახლა ფაბრიკა მაღალხარისხოვან პეროქსიდებს იძლევა.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში მუშაობს სახელგანთქმული სტახანოველი, ორგზის ორდენოსანი ამხ. პ. მიროტაძე, რომელიც პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს მუშებს მეტი მარგანეცისათვის საბრძოლველად. იანვარ-თებერვლის გეგმა მან 241,6 პროცენტით შეასრულა და არა ერთსა და ორ ახალგაზრდას შეასწავლა მარგანეცის აწმენდის ოსტატობა. ამხ. მიროტაძე ამავე დროს პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელია. პარტიული ჯგუფი ხშირად მსჯელობს შრომის დისციპლინის განმტკიცების, გრაფიკის დაცვის, მომჭირნეობის, შრომის ნაყოფიერებისა და თვითღირებულების საკითხებზე. ამიტომ არის, რომ ის ცვლა, სადაც ამხ. მიროტაძე მუშაობს, ყოველთვის გადაჭარბებით არსულებს მარგანეცის გამოღების დავალებას.

ეჭვი არ არის, მაღაროს კომუნისტები განამტკიცებენ მოპოვებულ წარმატებას და თავდადებულად იბრძოლებენ იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებსაც შავი მეტალურგიის წინაშე მეოთხე სტალინური ხუთწლედი აყენებს.

პ. ჭიოკაძე

## მოწინავენი პარტიაში შედიან

ლენინ-სტალინის პარტიის რიგები განუხრელად იზრდება. პარტიაში შედიან ისინი, ვინც ხალხისათვის, სამშობლოსათვის თავდადებით მოიხვეჭა სახელი.

ჩხარის რაიონის ეწერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად მიიღო შრომაში სახელგანთქმული კოლმეურნე გრიგოლ არაბიძე. მან 1945 წელს ფიზიკური შრომით 550 შრომადღე გამოიმუშავა. პარტიის წევრად მიღებულია დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური ნადია ვერულაშვილი, რომელმაც მაღალი მოსავალი მიიღო.

ახალთერჯოლელი მასწავლებელი ელენე შეყრილაძე მათემატიკას ასწავლის 7-წლიან სკოლაში, არის ახალგაზრდობის კარგი აღმზრდელი, აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ მუშაობაში. ამას წინათ იგი პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. ვლადიმერ კუტალაძე მასწავლებლობიდან გაიწვიეს ფრონტზე. იქ მან თავი ისახელა. აქვს ჯილდოები. ფრონტზე მიიღეს ბოლშევიკური პარტიის წევრობის კანდიდატად. ცოტა ხნის წინათ სამშობლო კუთხეს დაუბრუნდა ნომარი ვაჟკაცი და ძევრის 7-წლიან სკოლაში განაგრძო მასწავლებლობა. ამხ. კუტალაძე აქაც ფრონტული თავდადებით შეუდგა მუშაობას. განსაკუთრებით ისახელა თავი არჩევნებისათვის მზადების დღეებში. საარჩევნო უბანში მისი რედაქტორობით გამოდიოდა ხუთდღიური გაზეთი „ამომრჩევლის ხმა". ამხ. კუტალაძე ახლაც დიდი ენერგიით განაგრძობს აგიტატორის საპატიო მოვალეობის შესრულებას. ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადა, სადაც იგი აგიტატორად მუშაობს, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავეა. დაუღალავი მუშაობით ამხ. კუტალაძემ მოიპოვა უფლება იყოს დიადი კომუნისტური პარტიის წევრი. ამ დღეებში იგი პარტიის წევრად მიიღეს.

პარტიის წევრად მიღებულია თერჯოლის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ალ. ძოწენიძე. კოლმეურნეებმა იგი გაგზავნეს საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადაც თავი გამოიჩინა მუშაობით. გასულ წელს საკოლმეურნეო მინდვრებზე ფიზიკური შრომით მან 400-მდე შრომადღე გამოიმუშავა. უფრო ენერგიულად მუშაობს წელს.

პარტიის რიგებში შევიდა ჩხარის რაიონის მრავალი სხვა მოწინავე ადამიანი, კოლმეურნეები: მიხეილ ცხოვრებაძე, ალ. სოფრომაძე, მასწავლებლები დომნა ქართველიშვილი, ს. გიორგაძე, საავადმყოფოს გამგე ექიმი გრიგოლ აბესაძე და სხვები.

პარტიაში მიღება და ახალმიღებულთა აღზრდა კარგად არის დაყენებული ცხაკაიას სახელობის და ძევრის კოლმეურნეობების პირველად პარტიულ ორგანიზაციებში.

დ. კაჭკაჭიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## თბილისელ დაზგათმშენებელთა წარმატება

სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროდან მიღებულია დეპეშა, რომ თებერვალში თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვა მეორე ადგილი.

კიროველმა დაზგათმშენებლებმა თებერვალში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 126,1 პროცენტით, საერთო პროდუქციის გამოშვებისა—102 პროცენტით, ამასთანავე თვიური დავალების გადამეტებით გამოუშვეს ერთი სახარატო დაზგა „დიპ-300".

## მრეწველობის ახალი ამბები

### სურა, ფინჯანი, საყვავილე

არტელი „წითელი კერამიკა" (თბილისი) მარტში შეუდგა მაღალხარისხოვანი მხატვრული კერამიკული ჭურჭლეულის მასობრივად გამოშვებას. ეს ჭურჭელი კეთდება ქართული კერამიკის კლასიკური ნიმუშის მიხედვით. სპეციალურმა სამხატვრო საბჭომ, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს მიერ, წარდგენილი ნიმუშები მოიწონა. ჭურჭლეულობის გამოშვებას ხელმძღვანელობს ამ საქმის საუკეთესოდ მცოდნე დოცენტი ფიცხელაური.

### საუკეთესოდ მოწყობილი მოდათა ატელიე

თბილისში, ბარათაშვილის ქუჩაზე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ამ რამდენიმე თვის წინათ გახსნა საუცხოოდ მოწყობილი მოდათა ატელიე № 2 (დირექტორი ა. ტოპუშაშვილი, მთავარი ოსტატი დ. რობაქიძე), სადაც ჰკერავენ უკანასკნელი მოდის ქალთა და მამაკაცთა ტანსაცმელს. ატელიე სისტემატურად იღებს მოდათა ჟურნალებს მოსკოვის სამოდელო სახლიდან და აგრეთვე უცხოეთიდან. უახლოეს ხანში აქ გახსნიან საბავშვო ტანსაცმლის შესაკერ განყოფილებას.

# ბრიგადირი

საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავთან დაკავშირებით „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია გუდაუთის რაიონის ახალსოფლის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ლავრენტი ათანასეს-ძე ბარამია.

რით დაიმსახურა მან ეს მაღალი ჯილდო?

ლავრენტი ბარამია უნარიანად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობის მესამე ბრიგადას. 18 წლისას, ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, მიანდეს ბრიგადის ხელმძღვანელობა. მისი ბრიგადა ყოველთვის მოწინავე იყო და არის.

სამამულო ომი რომ დაიწყო, ბრიგადირმა ფრონტს მიაშურა, თოხი შაშხანით შესცვალა, სამ თვეში სერჟანტი გახდა. იბრძოდა კავკასიის უღელტეხილებთან, ნოვოროსიისკთან, ქერჩისათვის, ყირიმისათვის, იბრძოდა ანაპის 414-ე ქართული დივიზიის ვაჟკაცებთან ერთად.

1944 წელს ფრონტიდან ლ. ბარამია სახელმოხვეჭილი დაბრუნდა. მან ისევ თავისი ბრიგადა ჩაიბარეს და აირჩიეს კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად. პარტიულ და სამეურნეო მუშაობას უნარიანად ახამებს. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის. ყველა ენერგიულად მუშაობს ბრიგადირის დავალების შესასრულებლად.

ბრიგადამ, რომელსაც ლ. ბარამია ხელმძღვანელობს, შარშან განსაკუთრებით ისახელა თავი. 33 ჰექტარზე ბრიგადამ საშუალოდ 18 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12,5 ცენტნერისა, ხოლო ცალკეულ ნაკვეთზე 25 ცენტნერიც მოიყვანა. თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა ბრიგადამ 225 პროცენტით შეასრულა.

ბრიგადის წევრის დ. ბაკურიას ოჯახმა შარშან 900 შრომადღე გამოიმუშავა და 22 ტონა სიმინდი მიიღო, ხოლო პრემია-დანამატის სახით—4 ტონა. მას სხვებიც არ ჩამორჩნენ. სტახანოველმა მიხეილ ზერაგიამ 415 შრომადღე გამოიმუშავა, ბაგრატ ფირცხალავამ—440, საშა სორდიამ 370. ასეთები მრავალია. ბრიგადის თვითეული წევრის წლიური საშუალო გამომუშავება 300 შრომადღეს უდრის. დემობილიზებული ალ. კარტოზია დღიურ სამუშაო ნორმას 250-300 პროცენტით ასრულებს. ომამდე მის შრომის წიგნაკში ყოველწლიურად 1.110-1.200 შრომადღეა ჩაწერილი. წელს მან იკისრა გამოიმუშაოს სულ მცირე 1.000 შრომადღე.

ბრიგადირის დაჯილდოებას კოლმეურნეებმა ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხეს. ბრიგადამ იკისრა წელს შარშანდელთან შედარებით უფრო გაადიდოს მოსავლიანობა, 35 ჰექტარ სიმინდის ნაკვეთზე საშუალო მოსავლიანობა აიყვანოს 25 ცენტნერამდე, თამბაქოს ჩაბარების გეგმა შეასრულოს 300 პროცენტით, სანიმუშოდ ჩაატაროს საგაზაფხულო თესვა. ბრიგადაზე მიმაგრებული 6 უღელი მუშა პირუტყვი გაძლიერებულ კვებაზე ჰყავთ. 5 გუთანი, 2 ფარცხი, 4 კავი და სახნისი დროზე შეაკეთეს და წარმატებით შეუდგნენ ხვნა-თესვას. წელს აითვისეს საყანე ყამირი 4 ჰექტარი. თესვისათვის კარგად მოემზადნენ კ. ტანიას, ს. გეგენავას და გ. თოფურიას რგოლები.

ორდენოსან ლ. ბარამიას სტახანოვური ბრიგადა იბრძვის ახალი წარმატების მოსაპოვებლად.

**ს. შონია**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# ცუდი მუშაობა აფერხებს მოსავლის გეგმის შესრულებას

**ჭიათურა** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). რაიონში ბევრი მწირი და დაბალმოსავლიანი მიწებია. ეს აქაურ მუშაკებს ავალებს მეტი ყურადღება მიაქციონ აგროწესების ზუსტად შესრულებას, დროულად და მაღალხარისხოვნად დაამუშაონ ნაკვეთები, ნიადაგში შეიტანონ მეტი სასუქები, წარმატებით ჩაატარონ ნათესების მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლა.

შარშან ბევრმა კოლმეურნეობამ გაზარდა მოსავლიანობა. მათ რიცხვშია სოფელ ბეჟნევის კოლმეურნეობა „წითელი დროშა", ქვედა-უსახელოს კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბერი", ზოდის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება". მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ კოლმეურნეობებსაც მოსავლიანობის დაწესებული გეგმები არ შეუსრულებიათ,—ჰექტარზე 1-2 ცენტნერით ნაკლები მოსავალი მიიღეს. რაიონში არ არის არც ერთი კოლმეურნეობა, რომელსაც მოსავლიანობის დაწესებული გეგმა შეესრულებინოს. კიდევ მეტიც. ასეთი რაიონში არც ბრიგადაა. არის მხოლოდ ერთი რგოლი (ხელმძღვანელი ს. პაპიძე), რომელმაც დაწესებულ გეგმაზე ნახევარი ცენტნერით მეტი მარცვლეული მოიყვანა. ეს კი, ცხადია, წვეთია ზღვაში.

მოსავლიანობა ზოგან არა თუ იზრდება, არამედ კლებულობს კიდეც. მაგალითად, სოფელ თაბაგრების, შუქრუთის, პერევისის და სხვა კოლმეურნეობებში მოსავალი სამ-ოთხჯერ შემცირდა. განსაკუთრებით უდარდელობას იჩენენ სოფელ ხრეითის ბერიას და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობები. ხრეითი ჭიათურაში ცნობილია როგორც მაღალმოსავლიანი სოფელი. მისი ნიადაგი ნოყიერია. კოლმეურნეობებს ყველა პირობა აქვთ მოსავლიანობის გეგმას საგრძნობლად გადააჭარბონ. და თუ ამ კოლმეურნეობებმა მოსავლიანობის გეგმა სანახევროდ შეასრულეს, ეს პირველ რიგში აგროტექნიკურ ღონისძიებათა გაუტარებლობის, შრომის მოუწესრიგებლობისა და ცუდი ხელმძღვანელობის შედეგია.

მოსავლიანობის ზრდის გეგმა არ სრულდება მევენახეობაშიც. დაბალია მეცხოველეობის პროდუქტიულობა. თითზე ჩამოითვლება ისეთი კოლმეურნეობები, რომლებიც წველადობის გეგმას ასრულებენ.

ახლა სოფლად მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდია. კოლმეურნეობებში ჩაღდება შეჯიბრება ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის. ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ სტალინური ხუთწლედის პირველ წელს კარგი მოსავალი მივიღოთ.

# ეთერ-ზეთოვან პლანტაციებში

ჩრდილო კავკასიიდან, ყირიმიდან, შუა აზიიდან და მთელ რიგ სხვა ადგილებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ეთერ-ზეთოვან პლანტაციებში ემზადებიან თესვისათვის. წელს ამ კულტურების სათესი ფართობი მნიშვნელოვნად დიდდება—17,5 ათასი ჰექტარით შარშანდელთან შედარებით. ყველაზე უფრო დიდდება ნათესები ქინძისა—ეთეროვანი კულტურისა, რასაც საპარფიუმერიო და საკონდიტრო მრეწველობაში ხმარობენ. ერთნახევარჯერ დიდდება გერანის ნათესები, რომლის ზეთს მოთხოვნილებასაც აყენებენ საპარფიუმერიო, კვების, ლიქიორ-არყის მრეწველობის საწარმოები და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფაბრიკები.

ყველაზე ძვირფასი ეთეროვანი—ვარდის ზეთი იხდება დამასკოს ვარდის ფურცლებისაგან. ეს შედარებით ახალი კულტურაა ჩვენს ქვეყანაში. ამ ვარდს აშენებდნენ მხოლოდმხოლოდ ბულგარეთში, რომელსაც იგი ევროპის ყველა ქვეყანაში გაჰქონდა. რამდენიმე წლის წინათ სამამულო ომამდე დამასკოს ვარდის გაშენება დაიწყო ყირიმისა და კავკასიის ბევრმა კოლმეურნეობამ. ჰიტლერელთა განდევნის შემდეგ აღდგენილ ვარდის პლანტაციებში უკანასკნელ დროს განხორციელებულია მთელი რიგი აგროტექნიკური ღონისძიებანი, რაც ხელს უწყობს მოსავლიანობის გადიდებას.

ასეთი ღონისძიებანი გატარებულია აგრეთვე ლავანდის, მუსკატის, სალბისა და სხვა ეთეროვანთა პლანტაციებში. წელს დიდდება აგრეთვე პიტნის ნათესთა ფართობი. (საკდესი).

# ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს 1 აპრილის ცნობებით)

| რაიონები | საგაზაფხულო ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით | თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით | რაიონები | საგაზაფხულო ხვნის გეგმის შესრულება პროცენტობით | თესვის გეგმის შესრულება პროცენტობით |
|---|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 52,5 | | ქლუხორი | 46,9 | 27,5 |
| აჭარის ასსრ | 5,7 | 0,1 | ახალციხე | — | 12,6 |
| სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 11,9 | 5,9 | ადიგენი | 13,0 | |
| აბაშა | 76,5 | | ასპინძა | 48,1 | 17,5 |
| ცხაკაია | 64,4 | | ხაშური | 53,9 | 7,4 |
| გეგეჭკორი | 64,2 | | ქარელი | 39,6 | 5,6 |
| ზუგდიდი | 48,5 | | გორი | 30,8 | 7,5 |
| ხობი | 73,0 | | კასპი | 33,9 | 13,9 |
| წალენჯიხა | 63,1 | | ბორჯომი | 5,5 | 2,5 |
| ჩხოროწყუ | 67,2 | | წალკა | 0,7 | 9,7 |
| მახარაძე | 43,4 | | დუშეთი | 25,4 | 9,4 |
| ლანჩხუთი | 36,5 | | თეთრი წყარო | 52,9 | 23,8 |
| ჩოხატაური | 41,4 | 0,1 | გურჯაანი | 74,9 | 24,9 |
| ფოთი | 71,6 | | კაჭრეთი | 100,6 | 43,4 |
| ქუთაისი | 53,2 | 2,5 | სიღნაღი | 113,2 | 50,3 |
| წყალტუბო | 41,3 | | წითელწყარო | 102,7 | 45,5 |
| სამტრედია | 75,8 | 0,6 | თელავი | 60,9 | 10,3 |
| წულუკიძე | 63,4 | | ახმეტა | 65,2 | 19,2 |
| ვანი | 47,3 | 1,9 | ყვარელი | 79,4 | 21,1 |
| მაიაკოვსკი | 23,1 | 0,1 | ლაგოდეხი | 67,1 | 11,4 |
| ზესტაფონი | 2,2 | 1,8 | თბილისი | 100,2 | 47,6 |
| ჭიათურა | 1,0 | 1,0 | მცხეთა | 78,4 | 14,8 |
| საჩხერე | 13,2 | 3,6 | ყარაია | 123,6 | 24,6 |
| ამბროლაური | 0,1 | 0,1 | ბორჩალო | 65,7 | 1,1 |
| ორჯონიკიძე | 1,8 | 1,0 | ბოლნისი | 54,6 | 7,9 |
| ცაგერი | 0,6 | 0,6 | საგარეჯო | 37,2 | 27,0 |
| | | | ბაშკიჩეთი | 29,0 | 0,6 |

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

# ორი რესპუბლიკის კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება

**1938 წლიდან საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლ. ბერიას სახელობის და სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის რაიონის სოფელ ფოქრშაღრიარის ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ნატანებელი და ფოქრშაღრიარელი კოლმეურნეები ყოველწლიურად ანახლებენ შეჯიბრებას ყველა კულტურის მოსავლის განუწყვეტელი ზრდის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისა და სახელმწიფო ვალდებულებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის.**

**ამასწინათ ნატანებში ერთმანეთს შეხვდნენ მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობათა წარმომადგენლები. მოხდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების განახლება. შეხვედრა ხალხთა სტალინური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. კოლმეურნეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.**

**ქვემოთ ვაქვეყნებთ წერილებს სოფელ ნატანებისა და ფოქრშაღრიარის კოლმეურნეობათა შეჯიბრების შესახებ.**

* * *

## ნატანებელ კოლმეურნეთა სიტყვა და საქმე

ნატანებელი კოლმეურნეები ყოველწლიურად დიდი წარმატებით ასრულებენ მოსავლიანობის გადიდების გეგმებს. მათ ფართოდ განავითარეს საარტელო მეურნეობის ყველა დარგი. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შარშან 5 მილიონ 300 ათას მანეთს მიაღწია. მარტო გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის ჯილდოს სახით ჩაის დარგში მიღებულია 220.000 მანეთი, ტუნგოს დარგში — 49.000 მანეთი.

ნატანებლებმა შარშან ვადაზე 25 დღით ადრე სახელმწიფოს ჩააბარეს 340,5 ტონა ჩაის ფოთოლი, გეგმის 120 პროცენტი. კარგად უვლიან ისინი ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის პლანტაციებს. საუკეთესო შედეგებია მიღწეული ისეთი მაღალხარისხოვანი ჯიშების დანერგვაში, როგორიცაა ლიმონები: „ახალი ქართული" და „მეიერი", ფორთოხლები: „ადგილობრივი საადრეო", „ვაშინგტონნაველი" და „კოროლიოკი", მანდარინი „უნშიუ" და სხვ. კოლმეურნეობამ გასულ წელს გეგმით გათვალისწინებული 7,6 მილიონის ნაცვლად სახელმწიფოს 8.330.000 ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი ჩააბარა. თითქმის ორმაგად შესრულდა ტუნგოს ნაყოფის ჩაბარების ვალდებულებაც.

კოლმეურნეობის ექვსსავე მეცხოველეობის ფერმაში მთლიანად შენარჩუნებულია ნამატი. ვადამდე შესრულდა სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდის გეგმები, აგებულია პირუტყვის ორი სტანდარტული სადგომი.

კოლმეურნეობაში ყველა შრომისუნარიანმა წევრმა გამოიმუშავა დაწესებულ მინიმუმზე მეტი, ხოლო დიდმა უმრავლესობამ—200-500-მდე შრომადღე. კოლმეურნე იასონ გუჯაბიძის ოჯახმა გამომუშავებულ 1.600 შრომადღეზე 4,8 ტონა მარტო სიმინდი ერგო. შრომაში განსაკუთრებული წარმატება აქვთ ბრიგადირებს აპოლონ ხურციძეს და გერონტი ჯაბუას, კოლმეურნეებს ანია და დარეჯან ტაკიძეებს, ლუბა ბაქანიძეს, ლიუდი და ნინო ხურციძეებს, მიხეილ წითლიძეს, ეტიფანე გოგოტიშვილს. სამამულო ომის მონაწილემ კოტე მიმინოშვილმა წელს 30 სამუშაო დღეში 78 შრომადღე გამოიმუშავა.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობამ ვადამდე ერთი თვით ადრე დაამთავრა ჩაის პლანტაციების ბარვა და მინერალური სასუქის შეტანა. ციტრუსების დასარგავად დროზე მომზადდა 10.000-მდე ორმო. მინდვრებში გატანილია 1.600 ტონა ნაკელი და მინერალური სასუქი. მარცვლეულის დასათესად კოლმეურნეობამ დამატებით აითვისა 42 ჰექტარი ყამირი.

ნატანებელი კოლმეურნეები ამოცანად ისახავენ წელს თვითეულ ჰექტარზე მოკრიფონ 2.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ქვეყანას მისცენ 60 ტონა ლაო ჩაის და 30 ტონა საკოფეინე მასალა, შარშანდელთან შედარებით ციტრუსოვანთა მოსავლიანობა გაადიდონ 50 პროცენტით, ტუნგოსი — 15 პროცენტით, დამატებით გააშენონ 15 ჰექტარი ციტრუსოვანთა პლანტაცია, გამოიყვანონ 60.000 ძირი ახალი ნერგი, მნიშვნელოვნად გაზარდონ სიმინდის, სოიას, ლობიოსა და ბრინჯის მოსავლიანობა, მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, გაადიდონ პირუტყვის პროდუქტიულობა, კოლექტიურად გამოჰკვებონ 170 კოლოფი აბრეშუმის ჭია, კოლოფზე სახელმწიფოს ჩააბარონ 40 კილოგრამი პარკი, გააშენონ თუთის ახალი პლანტაციები, ყველა სახელმწიფო ვალდებულება შეასრულონ ვადამდე 4 თვით ადრე, ფულადი შემოსავალი მიიღონ 6 მილიონი მანეთი.

კოლმეურნეობა ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისათვის 10 ჰექტარზე დასთესავს სიმინდს, წითელარმიელთა ოჯახებს დაუმზადებს 1.200 კუბურ მეტრ შეშას, დაეხმარება სახლების აშენებაში.

ნატანებელი კოლმეურნეები დიდი სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებულნი, მთელი ძალით მუშაობენ, რომ წელს ახალ გამარჯვებებს მიაღწიონ.

**ტ. თოდრაძე**

„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

## ფოქრშაღრიარელთა მიღწევები

სოფელ ფოქრშაღრიარის ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა ცნობილია მთელ სომხეთში. მან სახელი გაითქვა ბამბის, გერანის, პურეულის, ყურძნის, ბოსტნეულის და სხვა კულტურების უხვი მოსავლით, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებით.

კოლმეურნეობაში მარტო ბამბის ნათესი ყოველწლიურად 170 ჰექტარს აღწევს, ხოლო პურეულისა 100 ჰექტარს. ბამბა აქ თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად შარშან 14 ცენტნერი მოიწიეს, ხოლო პური 16 ცენტნერის ნაცვლად 24 ცენტნერი. ყურძნის მოსავალმა ჰექტარზე საშუალოდ 60 ცენტნერს მიაღწია.

კოლმეურნეებმა კარგად მოაწყეს ძეფრინველეობის, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ფერმები. გეგმის გადამეტებით მათ მოაშენეს 30 სული ძროხა და ხარი, 95 სული ცხვარი და თხა.

საკოლმეურნეო დოვლათის ზრდა კოლმეურნეთა თავდადებული შრომის შედეგია. მერგოლეურმა ანა ავჩიანმა შარშან 340 შრომადღე გამოიმუშავა, 84 წლის ალექსანდრე ფარსელიანმა —360, 75 წლის სეროპ გევორქიანმა—340. ყველა კოლმეურნეს მინიმუმზე მეტი შრომადღე აქვს გამომუშავებული. მეოთხე ბრიგადამ (ხელმძღვანელი დავით დავთიანი) ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი პური მოიყვანა და მარტო ჯილდოს სახით 5 ტონა მარცვლეული მიიღო. ამავე ბრიგადამ 32 ჰექტარზე გეგმის გადამეტებით მოიყვანა ბამბა, ხოლო 3 ჰექტარზე ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები. ბრიგადის წევრებიდან უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ანგალატ მხითარიანმა, სონა აღასიანმა და ანა გევორქიანმა.

კოლმეურნეობის საერთო ფულადმა შემოსავალმა 1.700.000 მანეთს მიაღწია. შრომადღეზე განაწილებულია 25 მანეთი, გარდა ამისა, 3,6 კილოგრამი პური, 1 კილოგრამი ყურძენი, 3 კილოგრამი ბზე, 110 გრამი ერბო და ყველი, 1 კილოგრამი საზამთრო.

ფოქრშაღრიარელი კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ წელს გააუმჯობესებენ ნიადაგის დამუშავებას, უკეთესად მორწყავენ მიწებს, მინდვრად გაიტანენ მეტ ნაკელს, ზუსტად დაიცავენ აგროწესებს, გააუმჯობესებენ მოსავლიანობას და მეცხოველეობის პროდუქტიულობას, ფულად შემოსავალს 1.850.000 მანეთამდე აიყვანენ, მნიშვნელოვნად გაზრდიან შრომადღის ღირებულებას, ვადამდე შეასრულებენ ყველა სახელმწიფო ვალდებულებას.

ეჭვი არ არის, ისინი ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით შეასრულებენ. საამისოდ მათ ყველა პირობა აქვთ.

**ა. დაგბაშიანი**

„კომუნისტის" (ერევანი) სპეციალური კორესპონდენტი



თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანა. ტექნიკური წრის ხელმძღვანელი ინჟინერი ა. ციცხვაია (მარცხნივ) აცნობს ახალგაზრდებს ქ. ვალიევას, ე. ქიტიაშვილს და ო. წულუკიძეს რევოლვერული ჩარხის ნაწილებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

# სამეცნიერო სესია მეაბრეშუმეობის საკითხებზე

ჩატარდა სამეცნიერო სესია მეაბრეშუმეობის საკითხებზე. სესია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა დოცენტმა დ. დოლიძემ.

მოხსენებებით გამოვიდნენ: დოცენტი გ. პაპალაშვილი („ვოლტინიზმის გენეტიკის პრობლემები"), უფროსი მეცნიერი თანამშრომლები ნ. საბაძე („თუთის აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშები"), გ. ჯაფარიძე („თუთის ახალი სამრეწველო ჯიშები") და ნ. ჭანტურია („თუთის ფესვის სიდამპლე და მასთან ბრძოლა"), სტახანოველი მეაბრეშუმე ოსანა აივაზაშვილი („ქისტაურელ მეაბრეშუმეთა სტახანოვური მოძრაობა და მათი მეთოდების დანერგვა საქართველოს კოლმეურნეობებში"), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ალექსიძე („გარემო პირობათა გავლენა თუთის ფესვთა სისტემის ზრდა-განვითარებაზე"), დოცენტები გრ. მოქია და ი. დოლიძე, აგრეთვე შ. ღვინეფაძე, ა. ნიორაძე, ე. მარქარიანი, ა. კაფიანი და თ. ოვანესიანი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: აკადემიკოსმა ტ. კვარაცხელიამ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. დეკაპრელევიჩმა, დოცენტებმა ელენე ერისთავმა, ი. სარიშვილმა, ვ. ლობჟანიძემ, ნ. იაშვილმა.

სესიას ესწრებოდნენ მოწინავე მეაბრეშუმეები, აგრონომები, საგრენაჟო სადგურების მუშაკები, მეაბრეშუმეობის რაიონული კანტორების უფროსები.

ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. დ. დოლიძემ შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველოს მეაბრეშუმეებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს გაუმჯობესდა ჭიის მოვლა. თვალსაჩინოდ გაიზარდა თვითეული კოლოფი თესლიდან პარკის გამოსავლიანობა. ინსტიტუტის მიერ გამოყვანილია ჭიის ახალი სამრეწველო ჯიშები № 1 და № 2. მეტი ყურადღება ექცევა თუთის პლანტაციების გაშენებასა და დაცვას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენში გავრცელებული თუთის ჯიშების შესწავლას და ახალი მაღალხარისხოვანი ჯიშების გამოყვანას. კერძოდ, მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ სასელექციო სამუშაოთა და ჯიშთა გამოცდის შედეგად გამოვლინებულია თუთის ახალი სამრეწველო ჯიშები „საქართველო", „სელექციური № 24", „ჰიბრიდი № 7" და სხვ. აღნიშნული ჯიშები ფოთლის დიდ მოსავალს იძლევიან. ამასთანავე მათი ღირსება ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ცნობილი კულტურული ჯიშებისა. ამჟამად ფართოდ მიმდინარეობს აღნიშნული ჯიშების დანერგვა წარმოებაში — წელს კოლმეურნეობებში გასაშენებლად გამოყვანილი იქნება 150.000-მდე ძირი ნერგი. ამავე დროს შესწავლილია აბრეშუმის ჭიისა და თუთის ხის ახალი ავადმყოფობანი და მავნებლები.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა ახლა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მეაბრეშუმეობის ბუნებრივ-ეკონომიური პირობების მიკრორაიონების მიხედვით შესწავლას, სამეცნიერო ცდების ფართოდ გაშლას, სელექციური მუშაობის გაუმჯობესებას, საწარმოო პროცესების მექანიზაციას, ქისტაურელ სტახანოველ მეაბრეშუმეთა მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვას მეაბრეშუმეობის ყველა რაიონში.

სესიაზე სიტყვით გამოსული აკადემიკოსი ტ. კვარაცხელია შეეხო თუთის ხის ფესვთა სისტემის განვითარების საკითხებს, დასახა ღონისძიებანი ამ კულტურის ვეგეტატიური გამრავლებისათვის.

აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფესორმა დეკაპრელევიჩმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა აბრეშუმის ჭიისა და თუთის ხის სელექციის საკითხებზე, ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანაზე.

# „წიწილების ფაბრიკა"

მეორე წელია თბილისში მუშაობს ძეფრინველეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ამიერკავკასიის საცდელი სადგური (დირექტორი პროფესორი ი. პრიცკერი).

საცდელი სადგურის მიზანია შეისწავლოს ადგილობრივი შინაური ფრინველის, უმთავრესად ქათმის, ბატის, იხვისა და ინდოურის ჯიშები, გამოავლინოს უკეთესნი და ხელი შეუწყოს მათ ფართოდ გავრცელებას. ამავე დროს, სადგური სწავლობს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე სხვა ქვეყნებში ცნობილ ჯიშებს, სახელდობრ: როდ-აილანდის, ნიუგემშირის, ლეგორნის და სხვა ჯიშის ქათამს, პეკინის იხვს და ა. შ.

საქართველოს 10 რაიონის 30 კოლმეურნეობაში მოშენებული ადგილობრივი ნარევი ჯიშების შესწავლამ ცხადჰყო, რომ პროდუქტიულობით განსაკუთრებით გამოირჩევიან: თეთრი წყაროს თეთრყურა შავი ქათამი, ახალქალაქის შავი ქათამი, ხოლო სამეგრელოს რაიონებში — ნაცრისფერი ქათამი.

შარშან სადგურმა უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოტანილი კვერცხებიდან 4 ინკუბატორში 5.000-მდე წიწილი გამოიყვანა. წელს გათვალისწინებულია 15.000-მდე წიწილის გამოყვანა. შარშან წიწილების საშუალო გამოსავლიანობამ 76,6 პროცენტს მიაღწია, წელს კი ხშირად 80 და ზოგჯერ მეტ პროცენტსაც აღწევს. უკვე გამოყვანილია რამდენიმე ათასი წიწილი.

სადგურის საცდელ განყოფილებაში განუწყვეტლივ მოქმედებენ ინკუბატორები 1.800 კვერცხის ტევადობისა. სამრეწველო განყოფილებაში რძისა და ხორცის მრეწველობის სამინისტროს დახმარებით ამჟამად ეწყობა 600, 1.500, 5.000 და მეტი კვერცხის ტევადობის ინკუბატორები.

საცდელი სადგური ხელს უწყობს კადრების მომზადებასაც. შარშან 10-დღიან კურსებზე მომზადდა 20 მეინკუბატორე და გადამზადდა 7 ზოოტექნიკოსი. ამჟამად მიმდინარეობს 40 მეინკუბატორის მომზადება.

# ზ უ გ დ ი დ ი

### კულტურისა და დასვენების პარკი

ზუგდიდი რესპუბლიკის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი რაიონული ცენტრია. ყურადღებას იპყრობს ლამაზი შენობები, სწორი, განიერი მოასფალტებული ქუჩები, კულტურისა და დასვენების პარკი.

უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა იქნა გაწეული პარკის გასამშვენებლად. დარგულია ახალი ძვირფასი მცენარეები, მოწყობილია წყალჯომარდობის ტბა, აშენებულია ესტრადა.

### ხეივანი

ქალაქის ცენტრში არის მარადმწვანე ხეივანი. აქ საგანგებოდ უვლიან მიბრჯგნით ჩამწკრივებულ ჭადრის ხეებს, რომლებიც 1857 წელს რაფიელ ერისთავის თაოსნობით დაურგავთ.

### სასპორტო მოედანი

ახლად ძოეწყო სასპორტო მოედანი, რომელიც 20 ათასამდე მაყურებელს იტევს. გასულ წელს აქ პირველად ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრება ცხენოსნობაში, სადაც ზუგდიდელებმა ლ. პ. ბერიას სახელობის თასი მოიპოვეს.

### თეატრი

რუსთაველისა და წერეთლის ქუჩების შესაყართან აღმართულია ქალაქის მშვენება, ახალი ტიპის შენობა თეატრისა, რომელიც 600 მაყურებელს იტევს. ახლო ხანში თეატრის მიდამო ძწვანე ხარგავებით დამშვენდება.

### სასწავლებლები, მუზეუმი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ზუგდიდში არ იყო არც ერთი საშუალო სასწავლებელი. ახლა ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი, 5 საშუალო სკოლა, ერთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და ორი საფერშლო სკოლაა. რაიონს აქვს ჩინებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახელმწიფო მუზეუმი.

### სტალინური ხუთწლედების პირმშონი

ცარიზმისა და მენშევიკების დროს ზუგდიდი წვრილ ხელოსანთა ქალაქად ითვლებოდა. სახელი ჰქონდა გავარდნილი ადგილობრივ აზნაურ წრეებსა და უნაგირებს. რაიონში არ იყო არც ერთი საწარმო.

სტალინურ ხუთწლედებში გაიზარდა ზუგდიდიც. აშენებულია ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო—ინგურის ქაღალდკომბინატი. აქვეა საკონსერვო და საგრენაჟო ქარხნები, ჩაის ფაბრიკა, ჩაის საწნეხი ფაბრიკა და ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა.

# ფეხსაცმელი მოსახლეობისათვის

რსფსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ფეხსაცმლის საწარმოებში დიდი მუშაობა სწარმოებს ფეხსაცმლის წარმოების გაფართოებისა, მისი შეკერვის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვის, ხელის და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დარგში.

წელს ფეხსაცმლის შვიდ ფაბრიკაში ამუშავდება ლითონის კონსტრუქციის ახალი კონვეიერები. შახტის ფაბრიკაში (როსტოვის ოლქი) მექანიზირებულ იქნება ლანჩის მიმაგრება, ივანოვოს ფაბრიკა „ტრუდკომუნაში" და კრასნოდარის ფაბრიკაში—ქუსლის მიკვრა. მთელ რიგ საწარმოებში შემოღებული იქნება ზედაპირის მექანიკური გამოჭრა.

ფაბრიკა „ზარია სვობოდაში" (მოსკოვი) აითვისებენ პრესკონვეიერს კომბინირებული ფეხსაცმლის დასამზადებლად წებოთი მიმაგრებისა მეთოდით ნაკერის ნაცვლად. ასეთი ფეხსაცმელი უფრო გამძლე და მსუბუქი იქნება.

მოსკოვის კაპრანოვის სახელობის ფაბრიკა აპრილიდან გამოუშვებს ძაფით ნაკერ ბავშვის ფეხსაცმელს. ნავარაუდევია ასეთი ფეხსაცმელი მეორე კვარტალში 52 ათასი წყვილი გამოუშვან.

მოსკოვისა და ლენინგრადის მთელ რიგ ფაბრიკებში დიდდება მიკროთორიანი ლანჩის ფეხსაცმლის გამოშვება. თითქმის ერთიორად გადიდდება საგიმნასტო ტუფლებისა და საფეხბურთო ბუცების გამოშვება.

ტაგანროგის ფაბრიკაში ომის შემდეგ პირველად ეწყობა მეთევზეების იუხტის წაღის დამზადება. (საკდესი).

# მოტოციკლის ქარხანა კიევში

**კიევი**, 1 აპრილი. (საკდესი). კიევში სწრაფი ტემპით შენდება რესპუბლიკაში პირველი მოტოციკლის ქარხანა. ეს საწარმო გამოუშვებს 2,3 ცხენძალის სიმძლავრის მცირელიტრაჟიან მანქანებს.

მთავრდება საინსტრუმენტო, სარემონტო-მექანიკური, ელექტრო და სამონტაჟო საამქროების მშენებლობა. გამარჯვების დღის წლისთავზე ამუშავდება სამსხმელო საამქრო. კორპუსების მშენებლობასთან ერთად სწარმოებს მოწყობილობის მონტაჟი.

ივლისში ქარხანა საწყობს პირველ მანქანებს.

# რვა ქალაქის მატჩი კალათბურთში

14 აპრილიდან ქ. ლენინგრადში ტარდება რვა ქალაქის ტრადიციული მატჩი კალათბურთში. შეჯიბრებაში, რომლის მთავარი მსაჯია მ. ცხვედაძე, მონაწილეობას მიიღებს ვაჟთა რვა და ქალთა რვა გუნდი. ვაჟთა ჯგუფში ითამაშებენ მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ქუთაისის, ტალინის, კაუნასის, სვერდლოვსკისა და რიგის გუნდები. ქალთა ჯგუფში არიან: მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, დონის როსტოვის, ბაქოს, კაუნასის, კიევის და რიგის გუნდები. თბილისის და ქუთაისის გუნდები ერთი თვეა ემზადებიან ამ შეჯიბრებისათვის.

როგორც ცნობილია, გასულ წელს რვა ქალაქის შეჯიბრებაში პირველობა მოსკოვმა მოიპოვა, მეორე ადგილზე გამოვიდა კაუნასი, მესამეზე — ქუთაისი და მეოთხეზე — თბილისი.

# ინდოეთი და მისი ხალხები

(გეოგრაფიული შენიშვნები)

ინდოეთი სულ უფრო მეტად იპყრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას. მისი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც ომიანობის წლებში მეტად მწვავე იყო, საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ კიდევ უფრო დაძაბული გახდა. არის იმის საფრთხე, რომ შიმშილი, რომელიც ომიანობის დროს მძვინვარებდა, უფრო გაძლიერდეს. რას წარმოადგენს ეს ქვეყანა, რომლის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა მდგომარეობამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების ყველა მეგობრის შეშფოთება?

ინდოეთი სივრცითა და მოსახლეობით თითქმის ევროპას უდრის. მას ხშირად უწოდებენ სუბკონტინენტს და ეს განსაზღვრა გადაჭარბებული როდია. ძნელია მოკლე მიმოხილვით ინდოეთის მოცულობისა და თავისებურების აღწერა.

ინდოეთს უკავია უზარმაზარი ნახევარკუნძული და მისი მოსაზღვრე აზიის მატერიკის ნაწილი. ჩრდილოეთით მას არტყია მსოფლიოში უმაღლესი მთები, რომელთა მთავარი ქედი—ჰიმალაი—თავისი მუდმივი თოვლით ჰკვებავს ინდოეთის მდინარეებს და ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან იფარავს მას. მთების ძირში მდებარეობს უზარმაზარი ვაკე, რომელსაც რწყავენ მდინარეები ინდი, განგი და მათი შენაკადები. ვაკის სამხრეთით მდებარეობს ნახევარკუნძული, რომელიც წარმოადგენს დასავლეთით და აღმოსავლეთით არც თუ მაღალი მთაგრეხილებით შემოზღუდულ მაღლობ ზეგანს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ნახევარი ინდოეთი ტროპიკის ჩრდილოეთით მდებარეობს, ამ ქვეყნის ჰავასა და ბუნებას, მისი მაღალმთიანი რაიონებისა და უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთის გამოკლებით, ტროპიკული ხასიათი აქვს.

ინდოეთის თითქმის 400 მილიონი მოსახლეობა (388,8 მილიონი 1941 წელს) დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 1/5 შეადგენს. აქ არის ბრიტანეთის იმპერიის მცხოვრებთა 75 პროცენტი.

ინდოეთი აზიის დანარჩენი ნაწილისაგან გამოყოფილია ძნელად გადასალახავი ბუნებრივი ბარიერით, მაგრამ მრავალი ათასი წლის განმავლობაში დამპყრობლები არაერთგზის შეესევიან ინდოეთს ჩრდილო-დასავლეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაც კი. ძირითადი გზა, რომელიც ძველად და საშუალო საუკუნეებში ინდოეთს გარესამყაროსთან აკავშირებდა, იყო ის გზა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან მიემართება ჰინდუკუშის ქედის სამხრეთი კალთების კლდეკარებით. ამჟამად იმ ხეობის გასწვრივ, რომლითაც ოდესღაც ალექსანდრე მაკედონელის ჯარები შეიჭრნენ ინდოეთში, გაყვანილია ავღანეთის დედაქალაქ კაბულიდან მიმავალი საავტომობილო გზა. ინდოეთ-ავღანეთის საზღვრიდან შუა ინდოეთისაკენ მიემართება აგრეთვე რკინიგზა.

კაბულიდან ავტომობილით გასული მგზავრი გაივლის ჰაიბერის ძლიერ გამაგრებულ განთქმულ კლდეკარს და შედის ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი ავღანელი ტომების—აფრიდის, ვაზირის, მომანდისა და სხვა ტომების რაიონში. ეს ტომები ცხოვრობენ ინდოეთ-ავღანეთის საზღვრის, ეგრეთწოდებული დიურანდის ხაზის გასწვრივ. მათი საერთო რაოდენობა 2.250 ათას კაცს აღემატება. უნაყოფო მთებში მოქცეული ეს ტომები განუწყვეტელ ბრძოლას ეწევიან ინგლისის ხელისუფალთა წინააღმდეგ და მხოლოდ ინგლისის ძლიერი გარნიზონების ქსელი და დროდადრო მოწყობილი სადამსჯელო ექსპედიციები იმორჩილებენ მათ. ეს ტომები არ ემორჩილებიან ინგლისის მოხელეებს, მათ აქვთ თავიანთი სატომო საბჭოები—ჯირგები და ჰყავთ თავიანთი ბელადები—მალიქები.

მთებიდან გამოსვლისას საავტომობილო და რკინიგზები უფრო სწორი ადგილებით მიემართებიან, რაც თანდათან დაბლდება მდინარე ინდისაკენ, ჩრდილო-დასავლეთი საზღვრისპირა პროვინციის—პეშავარის ცენტრისაკენ. ქალაქი პეშევარი მდებარეობს ინდის შენაკად—მდინარე კაბულზე. ეს არის მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტი ავღანეთთან ვაჭრობისათვის.

ჩრდილო-დასავლეთი საზღვრისპირა პროვინცია წარმოადგენს მდინარე ინდის მარჯვენა ნაპირზე გადაჭიმულ ვაკეს. მისი ჰავა მშრალია. ნალექები ცოტა მოდის. მიწათმოქმედება ხელოვნურ რწყვას მოითხოვს და მიწის მხოლოდ 20 პროცენტი უკავია ნათესებს. პროვინციის მოსახლეობა ეროვნულად ერთგვარია და ავღანელებისაგან შესდგება.

ჩრდილო-დასავლეთის საზღვრისპირა პროვინციის ცენტრი რკინიგზით და კარგი საავტომობილო მაგისტრალით დაკავშირებულია ქალაქ კალკუტასთან, რომელიც ინდოეთის უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობს. მგზავრი რომ ამ გზით წავიდეს, პეშავარიდან 100 კილომეტრზე იგი 2-სართულიანი ხიდით გაივლის მდინარე ინდს ატოკთან. აქ მდინარე ინდი მოქცეულია მთის კლდიან ვიწრო კალაპოტში. ინდის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის უმნიშვნელოვანესი პროვინცია—პენჯაბი (რაც ნიშნავს „ხუთმდინარეთს"), რომელსაც რწყავს ინდი და მისი ხუთი უმნიშვნელოვანესი შენაკადი. პენჯაბი წარმოადგენს ხშირდასახლებულ მშრალ ვაკეს და ამიტომაც თითქმის მთლად დაფარულია ყანებით. ეს არის სარწყავი მიწათმოქმედების ქვეყანა. იქ კი, სადაც ყამირი დარჩენილა, იგი ნახევარუდაბნოს წარმოადგენს. მხოლოდ მდინარეთა ნაპირებზე აქა-იქ გვხვდება ეკლიანი რაყა.

პროვინციის ჩრდილოეთი ნაწილი ბორცვიანი ქვეყანაა და ვრცელდება ჰიმალაის სამხრეთ კალთებზე. აქ უფრო მეტი ნალექი მოდის და ამიტომ შესაძლებელია ურწყავი მიწათმოქმედება. ჰიმალაის უფრო მაღალი ფერდობები და მისი სამხრეთი კალთები დაფარულია ტყეებით.

პენჯაბი ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი პროვინციაა. მისი მოსახლეობა 28 მილიონზე მეტ კაცს შეადგენს. გარდა ამისა, მის ტერიტორიაში შედის 45 ადგილობრივი სამთავრო, 5 მილიონი მოსახლით. პენჯაბში უმთავრესად მოდის ხორბალი და გრძელბოჭკოვანი ამერიკული ბამბა, ხორბლის მოსავალი პენჯაბში კარგ წლებში თითქმის 3,5 მილიონ ტონას, ე. ი. მთელი ინდოეთის ხორბლის მოსავლის 35 პროცენტს შეადგენს. ინდოეთის სასურსათო ბალანსი მუდამ უაღრესად დაძაბულია და ამიტომ არც თუ ისე მნიშვნელოვანი მოუსავლიანობა ერთ-ერთ მის პროვინციაში, განსაკუთრებით პენჯაბში, შიმშილს უქადის მთელ ამ ქვეყანას. ხოლო ინდოეთის სოფელში გამეფებული სოციალური ურთიერთობის, დაბალი აგროტექნიკისა და ხელოვნური რწყვის ნაკლებობის გამო, ასეთი მოუსავლიანობა იშვიათი როდია. გასულ წელს ხორბლის მოსავალი პენჯაბში საშუალოზე გაცილებით ნაკლები იყო და ამან გამოიწვია მილიონობით ადამიანის შიმშილობა.

პენჯაბი მოფენილია ფართო ლიანდაგიანი რკინიგზების საკმაოდ ხშირი ქსელით. მისი დედაქალაქი—ლაჰორი, სადაც 670 ათასი კაცი ცხოვრობს, ინდოეთის მეხუთე ქალაქია სიდიდით. ეს არის საკმაოდ დიდი სამრეწველო ცენტრი, მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი. აქ არის ინდოეთის ამ ნაწილში ერთადერთი უნივერსიტეტი. პენჯაბის აღმოსავლეთით მდებარეობს ქალაქი ამრიტსარი (400 ათასი მცხოვრები), სიქხების წმიდა ქალაქი; სიქხები, რომლებსაც აქვთ საომარი ტრადიციები, ეკუთვნიან რელიგიურ თემს, რომლის მიმდევართა უმრავლესობა ეკუთვნის მიწის მუშა, გლეხურ კასტას — ჯატს. ეს არის შინამრეწველობის, კერძოდ, ხალიჩის მრეწველობის მნიშვნელოვანი ცენტრი.

პენჯაბის ჩრდილოეთ ნაწილში, ჰიმალაის მაღალ კალთებზე, მდებარეობს ქალაქი სიმლა—ინდოეთის მთავრობის საზაფხულო რეზიდენცია.

პენჯაბის მოსახლეობა საკმაოდ ერთგვარია რასობრივი ტიპის, ენისა და ზნე-ჩვეულების მხრივ. თითქმის მთელ პროვინციაში ლაპარაკობენ პენჯაბურ ენაზე. მაგრამ მთავარი ლიტერატურული ენა აქ არის ურდუ და მხოლოდ სიქხები ბეჭდავენ თავიანთ წიგნებსა და გაზეთებს პენჯაბურ ენაზე და ამასთან ხმარობენ განსაკუთრებულ ანბანს—გურმუკხს.

პენჯაბი ინდოეთის ის ნაწილია, სადაც სარწმუნოებრივ-თემობრივი განხეთქილება განსაკუთრებით მწვავეა. აქ არის არა ორი, არამედ სამი დიდი სარწმუნოებრივი თემი, სახელდობრ: მუსლიმანები, რომლებიც მოსახლეობის 53,2 პროცენტს შეადგენენ, ინდუსები — 29,1 პროცენტი და სიქხები—14,9 პროცენტი. სიქხები, მიუხედავად თავიანთი რაოდენობის (5 მილიონი) შედარებით სიმცირისა, დიდ როლს ასრულებენ პენჯაბის ცხოვრებაში. ძირითადად ესენი არიან ჯატის კასტის გლეხები. სიღარიბის გამო ისინი იძულებული არიან იარონ საშოვარზე ან არმიაში ჩაეწერონ. შოფერთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინდოეთში პენჯაბელი სიქხები არიან.

მუსლიმანთაგან, რომელთა შორისაც ბევრია ჯატი, და პენჯაბის სიქხებისაგან ომამდე აგროვებდნენ მთელი ინდოეთის არმიის დაახლოებით 70 პროცენტს და ამჟამადაც ისინი ამ არმიის ძირითად ჩონჩხს შეადგენენ. იმათ, ვინც არმიაში სამსახურის მთელ ვადას გაივლიდა, ინდოეთის მთავრობა პენჯაბის სარწყავ ნაწილებში აძლევდა მიწის ნაკვეთებს, ცდილობდა შეექმნა მთავრობის ერთგული მემამულეებისა და კულაკების ბირთვი, რაღაც მსგავსი სტოლიპინის ხუტორელებისა, რომლებიც მიწას დაიმუშავებდნენ დაქირავებული მუშების საშუალებით, მაგრამ ამ ახალი მიწის მუშების უმრავლესობა მიწას აძლევდა ღარიბ მოიჯარეებს და ისეთსავე ურთიერთობას ამყარებდა, როგორიც გამეფებულია ყველგან ინდოეთში. პენჯაბელი მემამულეები და კულაკები მართლაც რეაქციის საკმაოდ მტკიცე დასაყრდენი არიან.

სწორედ ჩრდილო-დასავლეთი საზღვრისპირა პროვინცია და პენჯაბი, აგრეთვე მათს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ბელუჯისტანი და სინდი წარმოადგენენ ინდოეთის იმ ნაწილს, რომლის გამოყოფასაც მოითხოვს მუსლიმანური ლიგა მუსლიმანური სახელმწიფოს—პაკისტანის შესაქმნელად. ამ პროვინციების საერთო ტერიტორია შეადგენს 500 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტს, მოსახლეობა კი — 36 მილიონზე მეტს, რომელთა შორის 22 მილიონამდე მუსლიმანია. მაგრამ ეს მოსახლეობა ერთგვარი როდია ეროვნულად. მის შემადგენლობაში არიან ავღანელები, სინდხები, პენჯაბელები და ბელუჯები.

პენჯაბის ჩრდილოეთით, ჰიმალაის მთებში, მდებარეობს ქაშმირის სამთავრო. მისი ფართობი 200 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტს უდრის, მოსახლეობა კი—4 მილიონ კაცს. ქაშმირი განთქმულია ჯანსაღი ჰავით და ბუნების სილამაზით.

ინდ-განგის დაბლობი წარმოადგენს იდეალურ ვაკეს და ინდის აუზიდან განგის აუზში გადასვლა თითქმის შეუმჩნეველია. განგის აუზი განგსა და მის მთავარ შენაკად მდინარე ჯამნას შუა ისეთსავე ვაკეს წარმოადგენს, როგორც პენჯაბი, მხოლოდ მოსახლეობა აქ უფრო ხშირია და ამიტომ თავისუფალი მიწებიც ნაკლებია, ვიდრე პენჯაბში. ვაგონის ფანჯარაში რომ იცქირები, ინდოეთის ეს ნაწილი უკრაინის ან ვოლგის გაღმა მხარეს მოგაგონებს: ვრცელი ყანები, ხორბალი, ბაღები სოფლების გარშემო. აქ მდინარე ჯამნაზე მდებარეობს ინდოეთის დედაქალაქი დელი, სადაც 520 ათასი მოსახლეა. ახალი დელი არის მთავრობის დაწესებულებათა და ინგლისელ მოხელეთა ვილების ქალაქი. ძველი დელი კი წარმოადგენს მუსლიმანური ხუროთმოძღვრების ძეგლთა ქალაქს, ვინაიდან დელი იყო ინდოეთის ბევრი მუსლიმანური მმართველის დედაქალაქი.

დელის აღმოსავლეთით მდებარეობს შეერთებული პროვინციები—აგრა და აუდი. ეს ოლქი, რომლის ფართობიც 275 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის, მოსახლეობა კი—55 მილიონ კაცზე მეტს შეადგენს, არის ინდოეთის ისტორიული ცენტრი, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია მთელ მის განვითარებაზე. მაგრამ ამჟამად შეერთებული პროვინციები წარმოადგენენ ინდოეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღარიბ ნაწილს.

პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ალაჰაბადი (260 ათასი მცხოვრები), რომელიც ჯამნისა და განგის შესართავთან მდებარეობს და ეს არის ინდოელების ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატივსაცემი წმიდა ადგილი. პროვინციის უკიდურეს აღმოსავლეთში, მდინარე განგზე მდებარეობს ინდუსთა მეორე წმიდა ქალაქი ბენარესი, სადაც ყოველწლიურად მილიონობით მლოცველი იკრიბება. ჰაერი აქ მუდამ გაჟღენთილია კოცონების კვამლით, რომლებშიც სწვავენ მიცვალებულთ, ვინაიდან აქ იკრიბება ათასობით კეთილმორწმუნე ინდუსი ინდოეთის ყოველი კუთხიდან, რათა სული განუტევოს განგის წმიდა წყლების მახლობლად. ბევრს აქ დასაკრძალავად მოაქვს თავისი გარდაცვლილი ნათესავები. პროვინციაში მოჰყავთ ხორბალი, ბრინჯი, ქერი და ბევრი შაქრის ლერწამი, მაგრამ თითქმის მთელი მიწა მემამულეებს ეკუთვნით და გლეხთა მოსახლეობა, რომელიც მემამულისა და მევახშის ორმაგ უღელქვეშ გმინავს, წარმოუდგენელი სიღარიბის პირობებში ცხოვრობს. იგი მთელს ინდოეთში დაძრწის საშოვარზე.

შეერთებულ პროვინციებს დასავლეთით საზღვრავს ეგრეთწოდებული რაჯპუტანის სამთავროთა სააგენტო, რომელშიც შედის 23 სამთავრო, სამხრეთით გვალიორის სამთავრო და სხვ.

ა. დიაკოვი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## არჩევნები საბერძნეთში

**ლონდონი**, 2 აპრილი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო ათენიდან გადმოგვცემს, რომ საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ საღამოს 900 საარჩევნო უბნის შესახებ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით ამ უბნებში რეგისტრირებულ 527.776 ამომრჩეველთაგან ხმა მისცა მხოლოდ 274.242 კაცმა. იმ ამომრჩეველთა რიცხვი, რომელთაც კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ, 47 პროცენტს შეადგენს.

**ლონდონი**, 2 აპრილი. (საკდესი). ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციის კორესპონდენტი ათენიდან იუწყება, რომ, როგორც ფიქრობენ, საშუალოდ არჩევნებში მონაწილეობისაგან თავი შეიკავა ამომრჩეველთა 40 პროცენტმა. კუნძულ კრეტაზე ხმა არ მიუცია ამომრჩეველთა ნახევარს, კუნძულ ლესბოსზე—ორ მესამედს.

**ნიუ-იორკი**, 1 აპრილი. (საკდესი). გაზეთების „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნისა" და „პ. მ."-ის ათენელი კორესპონდენტები სწერენ, რომ არჩევნების დროს საბერძნეთში აშკარა მოტყუება მოხდა. მემარცხენე პარტიებმა თავი შეიკავეს არჩევნებში მონაწილეობისაგან, განაცხადეს რა, რომ ეს არჩევნები უდრის სახელმწიფო გადატრიალებას, რომელსაც მემარჯვენეები ახორციელებენ.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" კორესპონდენტმა, რომელმაც შემოიარა თებეს მიდამოები, გამოარკვია, რომ მემარჯვენეთა ჯგუფები სრულ კონტროლს უწევდნენ კენჭისყრას „ისეთი საშუალებებით, რომლებიც კორუპციაში გაქნილ ამერიკელ პოლიტიკურ საქმოსნებსაც კი შეშურდებოდათ". შეიარაღებული მონარქისტების ჯგუფმა ლივადიაში თვალსაჩინო მოხელეს, ლიბერალური პარტიის წევრს კარუზისს უბრძანა შინ დარჩენილიყო არჩევნების დროს. კორესპონდენტმა გაიგონა, რომ ამ ჯგუფის მეთაურმა კარუზისს განუცხადა, 1 აპრილს მემარჯვენეები ჰიღებენ ძალაუფლებას და „საჭირო ღონისძიებებს იხმარებენ კომუნისტების წინააღმდეგო". სოფელ პეტრომაგულაში (ლივადიის ახლოს), სწერს კორესპონდენტი, მემარჯვენეთა წარმომადგენლები პირდაპირ სჩრიდნენ ხელში ამომრჩეველთ დაბეჭდილ კონვერტებში ჩადებულ ბიულეტენებს, რომლებსაც ამომრჩევლები ყუთებში უშვებდნენ, თუმცა წესებით გათვალისწინებულია, რომ ხმის მიმცემმა თვითონ უნდა მიიღოს კონვერტი. გაუგებარია, გაკვირვებით ამბობს კორესპონდენტი, თუ როგორ ძიიღეს მემარჯვენეებმა ოფიციალური ნიმუშის კონვერტები.

გაზეთ „პ. მ."-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ ფარული კენჭისყრის პირობები ათენში არადამაკმაყოფილებელი იყო და რომ არჩევნების დროს საერთოდ დაცული არ ყოფილა უფლება, რომლის თანახმადაც იმ შენობაში, სადაც კენჭისყრა ხდება, 5-ზე მეტი კაცი არ უნდა იყოს. მუშათა გარეუბან კაისარიანის მცხოვრებლებმა განუცხადეს კორესპონდენტს, რომ პოლიციამ დააპატიმრა მრავალი პირი, რომელთაც ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს. „პ. მ."-ის კორესპონდენტი მივიდა საპოლიციო უბანში, სადაც 8 დაპატიმრებული ჭაბუკი იყო. პოლიცია უხეშად აბრალებდა მათ, რომ ისინი ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სხვებისათვის ხმის მიცემაში, თუმცა დაპატიმრებულნი კატეგორიულად უარჰყოფდნენ ამას.

## კარვუნისისა და გეორგალასის განცხადებები საბერძნეთში მომხდარი არჩევნების შესახებ

**ნიუ-იორკი**, 2 აპრილი. (საკდესი). საბერძნეთ-ამერიკის საბჭოს მიერ მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდნენ საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის (ემის) წარმომადგენლები — ემის პრეს-ბიუროს ხელმძღვანელი კარვუნისი და საბერძნეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი პროფესორი გეორგალასი, რომლებიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობენ. მათ განაცხადეს, რომ 31 მარტს საბერძნეთში ჩატარებული არჩევნები მოტყუება იყო და რომ ინგლისის მხარდაჭერისა და ჩარევის შედეგად მონარქისტები მთლიანად უწევენ კონტროლს სახელმწიფო ორგანოებს, განსაკუთრებით არმიას და პოლიციას, ამიტომ მათ ადვილად შეუძლიათ საარჩევნო სიების გაყალბება.

კარვუნისმა და გეორგალასმა აღნიშნეს, რომ ათენიდან მიღებული ცნობები, რომელთა თანახმადაც მხოლოდ 30 პროცენტმა შეიკავა თავი არჩევნებში ხმის მიცემისაგან, ზუსტი არ არის და არ ასახავს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთმა მონარქისტმა რამდენჯერმე მისცა ხმა. თუ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მართლა სურთ დაეხმარონ ბერძენ ხალხს—ნამდვილი დემოკრატია აღადგინოს საბერძნეთში, ამ ყალბი არჩევნების შედეგები გაუქმებულ უნდა იქნას. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ მოკავშირე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ, რათა საბერძნეთის მთავრობას ასეთი არჩევნები ჩაეტარებინა, ფრიად დიდი იქნება. კარვუნისმა და გეორგალასმა განაცხადეს, რომ ემა და სხვა რესპუბლიკური პარტიები არასოდეს არ სცნობენ 31 მარტს მომხდარი არჩევნებისა და მათი შედეგების კანონიერებას. კარვუნისმა განაცხადა, რომ საბერძნეთის მთავრობა „იუნრრასაგან" მიღებულ საქონელს იყენებს საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის, ნიშნავს მონარქისტებისაგან შემდგარ კომისიებს ამ საქონლის განაწილებლად, რომელიც უმთავრესად ეძლევათ მონარქისტებს ანდა შავ ბაზარში იყიდება. ბერძენი ხალხი შიმშილობს, ვინაიდან მას არ ძალუძს საჭირო დახმარება მიიღოს სურსათით.

## მონარქისტებს დაევალათ საბერძნეთის მთავრობის შედგენა

**ათენი**, 2 აპრილი. (საკდესი). რეგენტმა მონარქისტული „სახალხო" პარტიის ხელმძღვანელ საბჭოს დაავალა კაბინეტის შედგენა. დავალება მიღებულია. მონარქისტული პარტია მოლაპარაკებას აწარმოებს პაპანდრეუს, ვენიზელოსისა და კანელოპულოსის („ეროვნული კავშირის") ბლოკთან.

„სახალხო" პარტია უარს ამბობს პრემიერის პოსტზე და წინადადებას იძლევა ამ პოსტზე წამოყენებულ იქნას „საერთო ნდობის პირი".

## ინგლისელი კორესპონდენტი სალონიკში წინასაარჩევნო ტერორის შესახებ

**ლონდონი**, 1 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „დეილი ექსპრესის" სალონიკელი კორესპონდენტი ბარჩეტი შემდეგნაირად აგვიწერს არჩევნების დღეებში ქალაქში არსებულ მდგომარეობას. იგი სწერს, რომ ბევრმა ახალგაზრდა ადამიანმა გასული კვირის ბოლოს დასტოვა ქალაქი, რადგან ეშინოდა, რომ არჩევნების შემდეგ ტერორი დაიწყებოდა მემარცხენეთა წინააღმდეგ. ქალაქში დააპატიმრეს საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის (ემ-ის) ბევრი მომხრე.

ახლანდელი არჩევნები ტარდებოდა მშვიდ ვითარებაში, რადგან პოლიცია მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს. პოლიციელები საბარგო ავტომობილებით დადიოდნენ ქუჩებში და მღეროდნენ შოვინისტურ სიმღერებს, მაგალითად: „ჩვენ გავილაშქრებთ სოფიაზე", „ჩვენ დროშას ავაფრიალებთ სოფიის მთებზე"!

იმ პირთ, რომლებიც ავრცელებდნენ ფურცლებს მოწოდებით—თავი შეეკავებინათ კენჭისყრისაგან,—პოლიცია დაუყოვნებლივ სცემდა. მე გადავიღე ერთი ასეთი სცენის ფოტოსურათი, მაგრამ პოლიციელმა დაამსხვრია ჩემი აპარატის კამერა და მე საპოლიციო უბანში გამგზავნა. აქ მე ორ ახალგაზრდა კაცს—ემ-ის წევრებს—დავეხმარე განთავისუფლებაში, რომელთა „დანაშაულობა" იმით გამოიხატებოდა, რომ მათ საარჩევნო უბნის მახლობლად გაავრცელეს მოწოდებები არჩევნების ბოიკოტის შესახებ. პოლიციამ ათზე მეტ შემთხვევაში არ მომცა საშუალება მესაუბრნა ბერძნებთან. მე იძულებული ვიყავი თავი გამესაღებინა ბერძნად. დაპატიმრებას ორჯერ გადავრჩი მხოლოდ პასპორტის წარდგენით.

## სამხედრო ვალდებულების კანონი იუგოსლავიაში

**ბელგრადი**, 2 აპრილი. (საკდესი). იუგოსლავიის სახალხო სკუპშჩინამ მიიღო იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა სამხედრო ვალდებულების კანონი. სამხედრო ვალდებულება, როგორც ამას იუგოსლავიის კონსტიტუცია აწესებს, საყოველთაოა მამაკაცთათვის. სამხედრო ვალდებულების კანონის თანახმად, ქალებიც შეიძლება გაწვეულ იქნან რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის როგორც არმიის ტექნიკური და სანიტარული სამსახურის სპეციალისტები. სამხედრო ვალდებულება ეხება მამაკაცებს 20-დან 55 წლამდე (40 წლის შემდეგ თადარიგში). ეროვნული თავდაცვის მინისტრს შეუძლია მობილიზაციისა და ომის მდგომარეობის პერიოდში არმიაში გაიწვიოს პირნი, დაწყებული 17 წლის ასაკიდან. არმიის კადრებში სამსახური გრძელდება ორ წელიწადს, სატანკო და საავიაციო ნაწილებში—სამ წელიწადს და სამხედრო-საზღვაო ფლოტში — ოთხ წელიწადს.

„ეს ვადები, — აღნიშნა მარშალმა ტიტომ, დაასაბუთა რა კანონი სკუპშჩინის სხდომაზე გაკეთებულ თავის მოხსენებაში, — წარმოადგენენ მინიმუმს, ვინაიდან შეიარაღების ახლანდელი ტექნიკა და ომის წარმოების მეთოდები მოითხოვენ ჯარისკაცთა ხანგრძლივ სწავლებას".

ის პირნი, რომლებიც კადრებში სამსახურის დროს ანდა ომის დროს განსაკუთრებულ ნიჭს გამოიჩენენ, გაიგზავნებიან სკოლებში ან სპეციალურ ნაწილებში, რათა ისინი ოფიცრებად მოამზადონ. კანონი ითვალისწინებს სამხედრო ვალდებულთა პერიოდულ გაწვევას გადასამზადებლად. სამსახურის ვადა კადრის ოფიცერთათვის დაწესებულია 50 წლამდე. სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვა სწარმოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

## მუშაობა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-8 ყრილობამ

**პრაღა**, 1 აპრილი. (საკდესი). 31 მარტს მუშაობა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობამ.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა კომპარტიის პოლიტიკა. გოტვალდის, სლანსკის, კოპეცკის, შვერმოვაის, ნეპომუცკისა და გორტის მოხსენებანი ერთხმად მიღებულ იქნა, როგორც სახელმძღვანელო დირექტივები და მითითებანი პარტიული ორგანიზაციებისათვის მათს შემდგომ შემოქმედებით მუშაობაში.

მე-8 ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი წესდება და აირჩია ცენტრალური კომიტეტი 10[illegible] კაცის შემადგენლობით. კომუნისტური პარტიის თავმჯდომარედ ყრილობამ ერთსულოვნად აირჩია კლიმენტ გოტვალდი, გენერალურ მდივნად—რუდოლფ სლანსკი.

ყრილობის დახურვის წინ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა გოტვალდმა.

## საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე

**პარიზი**, 1 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობის საღამოს სხდომაზე 29 მარტს განიხილავდნენ პარტიის პროგრამას (ლაპარაკია არა პრინციპულ პროგრამაზე, არამედ „უახლოესი დროის განმავლობაში მოქმედების პროგრამაზე"). ზოგიერთმა დელეგაციამ შეიტანა ორგანიზაციული ხასიათის წინადადებანი, რომლებიც არ ეთანხმებიან ხელმძღვანელი კომიტეტის ხაზს. ასე, მაგალითად, სენის დეპარტამენტის სოციალისტთა ფედერაციის დელეგაციამ ყრილობის ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ახლანდელი შემადგენლობის ხელმძღვანელი კომიტეტის 31 წევრს შორის 23 პარლამენტარია (ე. ი. პარტიული ლიდერი), მაშინ როცა ახალი წესდებით პარლამენტარიების რიცხვი კომიტეტში მისი შემადგენლობის მესამედს არ უნდა აღემატებოდეს.

სენის ფედერაციის დელეგაციამ წინადადება მისცა ყრილობას — აირჩიოს ხელმძღვანელი კომიტეტის ახალი შემადგენლობა პარტიის წესდების შესაბამისად. ამ წინადადებას მიემხრო ვოგეზების დეპარტამენტის სოციალისტური ფედერაციის დელეგაცია. ამ წინადადების მიღების წინააღმდეგ გამოვიდა სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი მეიერი. მეიერმა დაიმოწმა ის გარემოება, რომ ახალი წესდება დამტკიცებულ იქნება მორიგ ყრილობაზე (აგვისტოში), და მტკიცედ მოითხოვა, რომ აგვისტოს ყრილობამდე გადაიდოს ხელმძღვანელი კომიტეტის არჩევნები. სენის ფედერაციის დელეგაციამ მოხსნა თავისი წინადადება. ამრიგად, სოციალისტური პარტიის რიგსგარეშე ყრილობა არავითარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის შემადგენლობის შეცვლის შესახებ.

ალჟირის სოციალისტთა ფედერაციის დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რათა სოციალისტურმა პარტიამ კომუნისტურ პარტიასთან ერთად შეიმუშაოს და დამფუძნებელ კრებაში დაიცვას საფრანგეთის ახალი კონსტიტუციის თავისი პროექტი. მეიერის მტკიცე მოთხოვნით ეს წინადადება ყრილობამ არ მიიღო.

ყრილობის 30 მარტის სხდომაზე დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ გი მოლემ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მომხსენებელმა ყრილობას აცნობა, რომ სამი საკონსტიტუციო პრობლემა დღემდე არ არის გადაჭრილი პარტიათა შორის უთანხმოების გამო: 1) განსაზღვრული არ არის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევის წესი (კომუნისტები და სოციალისტები დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში შეთანხმდნენ იმაზე, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა აირჩიოს მხოლოდ ძირითადმა პარლამენტმა, რომელიც არჩეული იქნება საყოველთაო კენჭისყრის შედეგად); 2) განსაზღვრული არ არის „საფრანგეთის კავშირის უმაღლესი საბჭოს" უფლებანი („სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტია ცდილობს ამ დამატებითს პალატას ძველი სენატის ხასიათი მისცეს); 3) ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის იმ საკონტროლო ორგანოს ხასიათი, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გამოცემული კანონების კონსტიტუციურ ხასიათს.

სხდომის ბოლოს ქვემო ლუარის დეპარტამენტის სოციალისტური ფედერაციის დელეგაციამ მოითხოვა დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნას სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის მთელი შემადგენლობა, ვინაიდან, ამ დელეგაციის სხდომაზე გამოსული წარმომადგენლის სიტყვით, „ხელმძღვანელმა კომიტეტმა ყრილობა მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა და პარტიულ აქტივთან ერთად წინასწარ არ განუხილავს ახალი კონსტიტუციის პროექტის შინაარსი".

## მუშაობა დაამთავრა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ყრილობამ

**პარიზი**, 1 აპრილი. (საკდესი). გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრ ლე ტროკერის თავმჯდომარეობით შესდგა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის რიგსგარეშე ყრილობის საბოლოო სხდომა. სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუციები პარტიის პოზიციის შესახებ სხვადასხვა თანამედროვე პოლიტიკურ პრობლემებზე.

### „მეღვინეობის ტექნოლოგია"

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომამ" ქართულ ენაზე გამოსცა შ. ავალიანის წიგნი — „მეღვინეობის ტექნოლოგია". წიგნში მოცემულია ცნობები მეღვინეობა-მევენახეობის განვითარების, ყურძნის მტევნის აგებულებისა და ქიმიური შემადგენლობის შესახებ. გაშუქებულია აგრეთვე ღვინის გადამუშავების მეთოდები.

წიგნის რედაქტორია დოცენტი გ. ბერიძე.

### „პენიცილინი და მისი გამოყენება"

საქართველოს სამედიცინო გამომცემლობამ გამოსცა პროფესორ ლ. ელიაშვილის შრომა — „პენიცილინი და მისი გამოყენება", რომელიც აშუქებს პენიცილინის აღმოჩენის, მისი მიღების, მოქმედების მექანიზმისა და სხვა საკითხებს.

წიგნის რედაქტორია მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე პროფესორი კ. ერისთავი.

### „ნიკოლოზ ბარათაშვილი"

საქართველოს სსრ შინსახკომის საარქივო სამმართველომ გამოსცა პროფესორ შ. ჩხეტიას წიგნი „ნიკოლოზ ბარათაშვილი".

წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: 1. ბარათაშვილოლოგიისათვის, 2. ნ. ბარათაშვილის ახლად აღმოჩენილი ავტოგრაფები და მათი მნიშვნელობა, 3. ახალი დოკუმენტები ბარათაშვილის შესახებ, 4. ადმინისტრაციული რეფორმა საქართველოში ნ. ბარათაშვილის დროს და 5. ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების არქეოგრაფიული აღწერილობა.

წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი გ. ლეონიძე.

### „ლიუბოვ იაროვაია"

სერგო ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატ ტრენიოვის პიესა „ლიუბოვ იაროვაია". პიესა დადგა რეჟისორმა მიქელაძემ, მხატვრობა ეკუთვნის თ. თავაძეს. მთავარ როლებში გამოვიდნენ მსახიობები მ. თაბორიძე, პ. ახვლედიანი, გ. ჰამუჩიშვილი, ა. კუპატაძე, ქ. მჭედლიშვილი და სხვ.

სპექტაკლი მაყურებელმა მოიწონა.

### მხატვარ ე. ბაღდავაძის საღამო

კვირას, 7 აპრილს, საღამოს 8 საათზე მხატვართა კლუბში (ფურცელაძის ქ. № 2) შესდგება მხატვარ ეკატერინე ბაღდავაძის შემოქმედებითი საღამო მისი სურათების გამოფენასთან დაკავშირებით.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

### ქრონიკა

4 აპრილს, 5 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლეში შესდგება დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

### მოხსენება

ოთხშაბათს, 3 აპრილს, მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13), საღამოს 8 საათზე შესდგება ქალთა საერთაშორისო კონგრესის მონაწილის ნინო ჯავახიშვილის მოხსენება თემაზე: „პარიზის შთაბეჭდილებანი".

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

### მასწავლებლის სახლში

4 აპრილს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. 3) შესდგება პროფესორ გ. თავზიშვილის ლექცია თემაზე: „სწავლა-განათლების ცენტრები ძველ საქართველოში".

შესვლა თავისუფალია.

**საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება ოთხშაბათს, 3 აპრილს, საღამოს 7 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).**

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

### კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**4 აპრილს საღამოს 8 საათზე** შესდგება დოცენტ **ცინცაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „რუსი უფლისწული საქართველოში და ურთიერთობა კიევის სამთავროსთან მე-12 საუკუნეში".

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

### ლექციები

**3 აპრილს, საღამოს 6 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქ. № 2) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

**5 აპრილს, საღამოს 8 საათზე,** სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში შესდგება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ნ. ქოიავას ლექცია თემაზე: „საბჭოთა ფული".

### თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა** — 3/IV—„ტრავიატა", 4/IV—„ამბავი ტარიელისა". **რუსთაველის სახელობის** — 3/IV — „საპატარძლო აფიშით", 4/IV—„ინსპექტორი მოვიდა". **მარჯანიშვილის სახელობის**—3/IV—„შესაფერი ჯილდო", 4/IV —„დავით აღმაშენებელი". **გრიბოედოვის სახელობის**—3/VI—„განათლების ნაყოფი", 4/VI — „მელიები".

### კინოებში

**3 აპრილს: რუსთაველის სახელობის** — „ზიგმუნდ კოლოსოვსკი". **ოქტომბერი** — „სპილოების პატარა მწყემსი". **დამკვრელი**—„არშინ მალ-ალან". **კომკავშირელი და სპარტაკი**—„დავით გურამიშვილი". **ლუქსემბურგის სახელობის**—„სილვა". **26 კომისრის სახელობის** — „შვეიკის ახალი თავგადასავალი".


მოქალაქე **ალექსანდრე გიორგის-ძე შენგელაიამ**, მცხოვრებმა ლენინის ქ. № 19, აღძრა საქმე ხანძრის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **ელენე ვლადიმერის-ასულ რუხაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

**ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ აგრო-ბიოლოგიურ სამეცნიერო მცირე საბჭოს ღია სხდომაზე, ა. წ. 23 აპრილს, დღის 2 საათზე, ფიზიკის აუდიტორიაში (მარის ქ. № 33, მთავარი შენობა), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავენ დისერტაციას:

1. **ს. ულენტი** თემაზე: **„ფუტკრის როლი სუბტროპიკულ კულტურათა მოსავლიანობის გაზრდის საქმეში".**

ოფიციალური ოპონენტები მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **ტ. კვარაცხელია**, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **ე. თოფურიძე.**

2. **ც. ტატინაშვილი** თემაზე: **„დანორმვა, როგორც მეწლეობის საწინააღმდეგო საშუალება".**

ოფიციალური ოპონენტები მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი **ლ. დეკაპრელევიჩი**, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **მ. რამიშვილი.**

დისერტაციას გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **ვარლამ დოროთეს-ძე ბაძაღუამ**, მცხოვრებმა ბროსეს ქ. № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **პოლინა ანტონის-ასულ ბაძაღუასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

ზინა, თამარი და პეტრე ქვლივიძეები იუწყებიან **იოსებ ალექსანდრეს-ძე ქვლივიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/IV **სოფ. საგარეჯოში.**

აპოლონ და ზინა ჰიჰინაძეები მშობლებით იუწყებიან **შალვა ბესარიონის-ძე ჰიჰინაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3/IV, 7 ს. გამოსვენება 4/IV, 5½ ს. ბოცვაძის, 14.

ოჯახი იუწყება **ანა ბართლომეს-ასულ კაკაბაძე-მელაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 4/IV, 4 ს. გორის, 23.

ოჯახი იუწყება **კირილე ალფეზის-ძე ნებიერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. კლდეეთში 4/IV.



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-38, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3 78-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00044